ჩემი ჰოზი

პ ო ე ზ ი ა ა

ლიტერატურული
ალმანახი № 10

თელავი 2015

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ჩ-433

პერიოდული გამოცემა
გამომცემელი: ლერი ნოზაძე
ISSN 1987-9261

ფილტვად აქვს
კახეთს თელავი...

თელავის თავზე
გათენდა ისე,
ცა შემოდგომის
გაიხსნა თითქოს.
ეს გათენება
იმედით მავსებს,
გული სიკეთის
ჩადენას ითხოვს...

უსასზღვრო გულწრფელი მადლობა თელავის
მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორს
ქალბატონ **მაყვალა წიკლაურს**
წიგნზე მუშაობისას უდიდესი დახმარებისთვის

ქეთევან
ათუაშვილი-ყარაულაშვილი

დაიბადა 1941 წლის 13 თებერვალს ქ. თელავში. დაამთავრა საშუალო სკოლა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ლექსების წერა 11 წლის ასაკიდან დაიწყო. აქვს ლექსების კრებული, რომელშიც, ასევე, მოთავსებულია ამ ლექსებზე მის მიერვე დაწერილი მუსიკა.

დედას

წუთით გაირინდა სამყარო,
გრძნობა მოვიკრიბო ნეტავ,
მინდა მოგეფერო, დაგკოცნო
ჩემო საყვარელო დედა!
ფიქრდამძიმებული დადიხარ
და გულს შეგპარვია სევდა,
არ გინდა მაჩვენო წუხილი
რითაც შენა სწუხარ, დედა.
იქნებ მოგერია სიბერე,
თმებიც დაგეთოვა, ვხედავ,
პატარა მამისეულ ქოხში
კერა არ ჩამიქრო, დედა!
საოცრადდაღლილი თვალები,
გულში შეპარული სევდა,
ოდესღაც ლამაზი სიცილი,
ალბათ, შენც იცოდი, დედა!

ქართვლის გულის გასახარად

საქართველო, სათაყვანო,
დედის რძე ხარ, ტკბილზე ტკბილი,
ქართვლის გულის გასახარი
მარიამის წილხვედრილი.

საქართველო, ქართვლის დედა,
ჩვენი მზე ხარ, ჩვენი მთვარე,
ღვთისმშობელო, გევედრები
შენი კალთა დაგვაფარე.

საქართველო, სანუკვარო,
ჯიშთა ჯიშო, გენთა გენო,
როგორ მინდა, სიამაყით
ღირსეულად მუდამ გევლოს!

მუდამ ჭრიდეს შენი ხმალი
ერეკლეს და დავითისა,
ხვავ-ბარაქით სავსე იყავ,
არ მოგაკლდეს ნამი ცისა.

საქართველო, მადლიანო,
ილიას და შოთას ქნარო,
ქართვლის გულის გასახარად
ქრისტეს რჯულის სათაყვანო...

ზეციერო, მოგვეც დიდი
ჭირთა თმენა, დღე მზიანი,
კიდევ ბევრი დაიბადოს
ჩვენში ბრძენი და ჭკვიანი.

ღვისმშობელო, კიდევ ერთხელ
წრფელი გულით გევედრები,

გამთლიანდეს და აყვავდეს
საქართველოს ველ-მინდვრები.

საქართველო, წამებულო,
საქართველო, ერთადერთო
ქართვლის გულის გასახარად
ქრისტეს რჯულის სანთლად ენთო!...

თელავის სიყვარულში

როგორ მიყვარს, როგორ მხიბლავს
უძველესი, პატარა
უწმინდესი, როგორც დედის
დათოვლილი ჭაღარა.

როგორ მიყვარს ჩვენი ბურჯი
სხვა სადარი სად არი,
აქ ერეკლეს აკვანია...
რვაასი წლის ჭადარი...

როგორ მიყვარს ჩვენი ქუჩა
ცელქი გოგო-ბიჭებით,
ძველის-ძველი სტადიონით
და დოდიკას* ფინტებით.

ძველი სკოლა, ძველი ბაღი,
ღვთისმშობელიც ძველია,
აივნებიც, ქონგურებიც
რა ლამაზად მღერიან...

გორიჯვარი პირჯვარს იწერს,
თელავს უდგას დარაჯად
და ღვთაება ილოცება
დაილოცოს მარადჟამს!

სისხლი ყივის სიძველისგან,
თოვლია თუ ქარია
და თელავის სიყვარულში
გული ჯადოქარია.

ყველა მიყვარს, თუკი სადმე
სიყვარულით გველიან,
თელაველი სადაც წავა,
ყველგან თელაველია!

მე არ ვიცი, ვის რა უყვარს,
ან ვის რა სძულს, არ ვიცი,
მე თელავის სიყვარულით
დავიფერფლე, დავიწვი.

ერეკლეს სულს დავიფიცებ,
სანთლად შემოვევლები,
ვენაცვალე მე ჩემს თელავს
ნაღდი თელაველებით!

ჩემი კახელობა მახარებს

ჩემი კახელობა მახარებს
სიმართლე გვინთია ჩირაღდნად,
რამდენჯერ მომხტარა მომხდური
და უკუ უგდია წინაპარს!
ჩემი კახელობა მახარებს
სტუმარ-მასპინძლობა გვჩვევია,
მაგრამ, თუ სტუმარმა გაგვთელა,
ღირსების შელახვა ძნელია.

ჩემი კახელობა მახარებს
ვარსკვლავი ჩემს ცაზე კიაფობს
მე ისევ ვუმღერებ ალაზანს

დუდუნით ტალღებს რომ მიაპობს!
ჩემი კახელობა მახარებს
მისი სიყვარულით ვინთები.
ცხრა მთის იქითაც რომ ვიცხოვრო,
მე მაინც კახელი ვიქნები!

მუდამ მაგონდება

ისევ ის ქოხი და ჩვენი კარ-მიდამო,
წყარო, მოჩუხჩუხე, ცივი
მუდამ მაგონდება, მუდამ მესიზმრება
ბავშვური ოცნება - ტკბილი.

ჭალაში სირბილი, ნიავთან თამაში,
მდელოზე შიშველი ფეხით,
მუდამ მაგონდება, მუდამ მესიზმრება,
წყაროსთან მთრთოლვარე ვერხვი.

ვარსკვლავთა ციაგი,ხან რამე უძილო
და ხან ოცნებები წმინდა,
იმ ჩემი ბავშვობის ნატერფალს უწმინდესს
სიზმრადმოვეფერო მინდა.
ბებიის ალერსი, ტკბილი და საამო,
ღუმელთან მიმჯდარი ფისო,
მუდამ მაგონდება, მუდამ მესიზმრება
დედა, მიცემული ფიქრსო...

ღმერთო, ნუ მომაკლებ სიზმრებს ბავშვობისას
ობობას ქსელივით ნაქსოვს,
მე ის უცოდველი გრძნობები ზღაპრული,
გუშინდელ დღესავით მახსოვს!...

სიხარულო ჩემო
(ეძღვნება შვილს ზ-ს)

შენ ხარ ჩემი იმედი და რწმენა,
ოცნებავ დასიხარულო ჩემო,
დედის გული გულმხურვალედ გლოცავს
რომ ცხოვრებამ, ვინძლო არ გაგთელოს.
უძილობამ გამიტეხა ღამე,
ვფიქრობ შენზე, სიყვარულის ნიჭო,
გენაცვალე მაგ ვაჟკაცურ სულში
ჩემთვის მუდამ სულ პატარა ბიჭო!....

მომტაცეს

წლებმა მომტაცეს, რაც კარგი მქონდა,
წელში გამტეხეს, ძლიერ დამცინეს,
ამომაგლიჯეს მკერდიდან გული,
მხოლოდ ფიქრად და დარდად მაქციეს.

თუნდაც უფსკრულში ვიჩეხებოდე,
ან რომ მაღრჩობდეს შავი მორევი -
ვერ შემაშინებს, ვერ დამაჩოქებს.
მხოლოდ წლებია ჩემი მომრევი.

ესაა ჩემი ბედის დემონი,
ვინც მრისხანებით თავს დამტეხია,
რა ვქნა, არ მინდა სულიც წამართვას,
გული მიტომაც გამიტეხია.

წლებმა მომტაცეს, რაც კარგი მქონდა
და გაატანეს ქარსა და ნიავს,
თვით ზეციერიც ვერ დამიბრუნებს,
რაც თვითონ მომცა, ისევ თვით მიაქვს.

ვედრება

ღმერთო, ხელი მოუმართე
ჩვენს სამშობლოს და ჩვენს კერას,
ღმერთო, ხელი მოუმართე
ქართველ ვაჟკაცს, ქართველ დედას!

ღმერთო, ხელი მოუმართე
ქრისტეს რჯულზე დამდგარს ყველას,
ნუ შევბილწავთ, ნუ ვიკადრებთ
წინაპართა სულთა გვემას.

ღმერთო, ხელი მოუმართე
ვისაც უყვარს ღვთისმშობელი,
ღმერთო, ხელი მოუმართე
ვინც არ არის ღვთისმგმობელი!

ღმერთო, ღმერთო, გევედრები
კვლავაც დიდი თხოვნა მიწევს,
გევედრები, გავმთლიანდეთ,
გულმხურვალედ პირჯვარს ვიწერ!

თორემ ძვლები შეტოკდება
ერეკლეს და დავითისა,
ალგეთს კვლავაც იზრდებიან
ნაშიერნი გორგასლისა!

ღმერთო, ხელი მოუმართე
ვისაც ციდან ესმის რეკვა:
ისეთები დაგვეზარდოს
„დიდმა მთებმა იწყოს დრეკვა“!

ღმერთო, ხელი მოუმართე
ვინც სიმართლის მძებნელია
და ქართული ტრადიციის
დიდი გამგრძელებელია!

გიორგი ბერძნიშვილი

დაიბადა ქ. თელავში 1940 წლის 8 ოქტომბერს. 1947 წელს შევიდა თელავის პირველ ვაჟთა სკოლაში. 1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ფერადი ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალობაზე. 1961-64 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1964 წელს მუშაობა დაიწყო თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის საბავშვო სამხატვრო სკოლაში ძერწვისა და კომპოზიციის მასწავლებლად. 1987 წლიდან 2007 წლამდე იყო ამ სკოლის პედაგოგი და სასწავლო ნაწილის გამგე. გიორგი ბერძნიშვილს გამოცემული აქვს 8 კრებული პოეზიასა და პროზაში. ჰყავს 2 შვილი და 4 შვილიშვილი.

გურჯები

თავს მოგახვიეს კახ შვილებს
სპარსული ენა, ადათი,
გერჩიათ თქვენი კერა და
ქართული მიწის ნობათი.
ყური გაქვთ მომარჯვებული,
ყველას მოკითხვას აბარებთ,
დედა-სამშობლოს ლოცვაში
დღე-ღამეს ათევთ, აღამებთ.
ესაა წმინდა ფიქრებით
სულში გავლება ხნულისა,
გულში წანწკარით დინება
რაღაც სხვა სიხარულისა.
რუსთველის ჯიში-ჯილაგის
შვილნი გაგხადეს გურჯები,
ენავ, გურჯების საამოდ

ნურასდროს ნუ დამუნჯდები.
სამშობლოვ, მათი სისხლია
ბორკილებიან ხელების,
კახეთში ატირებული
ვაზის რტოების ცრემლები.

გრემთან
(ექსპრომტი)

მკათათვის ზეცა მახურავს თავზე,
მხრებზე მაწვება ღრუბლის ქულები,
ვიღლები, მაგრამ მხნეობას მაძლევს
ჩვენი ბუნების ეშხი ულევი.
მე გრემთან ვხვდები ამ შეღამებას,
უკვე ლურჯდება დაისის მხარე,
მინდა ვიხილო გუმბათის თავზე
როგორ ისვენებს დაღლილი მთვარე.
მთების ქიმებში ამოძვრა მალე,
უძირო ცაში რა დაასვენებს?
ღრუბლის ქულებმა მიაცილეს და
ტაძრის გუმბათზე გადაასვენეს.
თავნეტარების უზომო ლხენის
ბუნება მივსებს გულის საწყაულს,
პოეტის კალამს ვაჟღერებინებ
მხატვრის თვალებით ნანახ სასწაულს.

ოხ, ეს ბუნება
(ეტიუდი)

არ უხარია ვარდის ბუჩქს თრთოლვა,
ქარს გაუპენტავს თეთრი ფურცლები
თავსინანულმა ამიყოლია,
მეძალა ცრემლის ცხელი კურცხლები.
ტრიუმფატორი- ბუნების ძალა
რა ულმობელი და რა მკაცრია,

სულს მიხუთავს და გონს მაკარგვინებს
ვარდის ფურცლების ეს კრემაცია.
მაინც რა არის დედა-ბუნება,
უხვად იმეტებს შნოსა დაიერს,
ჯერ შობს, ალაღებს, თავზე ევლება,
მერე თვითონ სპობს თავის ნაშიერს.

ობოლი ყაყაჩო

(ექსპრომტი)

თვალუწვდენ ველზე ერთი ყაყაჩო
ობოლი ჩანს და სულ მარტოხელა,
ამდენ ყვავილში ეს საოცრება
გამოირჩევა, ვით „საპოვნელა“
ყველა ყვავილი ყელს იღერებს და
ყაყაჩოსა აქვს თავი დახრილი,
თითქოს ტირისო, ცვარის მძივები
ცრემლებადა აქვს ტანზე დაყრილი.
თავმორჩილებით მუხლი ვიყარე
მოვეფერე და მივუალერსე,
სხვა ჩაუვლიდა გულარხეინად,
მე ეს ექსპრომტი გრძნობით გავლექსე.

დილა

ალიონია, შემოვა დილა
ბავშვის თვალივით კამკამა, წმინდა,
სვე-ბედნიერი ჩემი მთა-ბარის
კვლავ მოფერება გულით მომინდა.
გავალ მდელოზე,რათა შევიგრძნო:
მიწის სურნელი, ბალახის სუნთქვა,
სულს ენატრება ალაზნის ველზე
ყაყაჩოების გაშლილი სუფრა.
ო, როგორ მიყვარს ნაღამურ ზეცის
გათენებისას ფერისცვალება,
ლექსები ჩემი სულის საზრდოა,

ველის მადლი კი ნახოს თვალებმა.
ალიონია, შემოდის დილა,
ასეთი ნაზი ჯერ არ შობილა.

საქართველოვ, მაპატიე!

ფარ-აბჯრიან წინაპრებმა
ვერგაუძლეს ათას ქილერს,
ივიწყებ მათ გასპარსებას,
მთლად იმეტებ ქართვლის შვილებს?
საქართველოვ, ერის მამის
დიდება რომ ცას აწიე,
წიწამურთან ტყვიის დახლა
იმ დროებას აპატიე?
აფხაზეთი, სამაჩაბლო
გულში მარხავს ნასროლ ტყვიებს,
იმ მკვლელების დასჯის წყურვილს
მაგ თბილ მკერდში აპატიმრებ?
შენი მიწის შვილობილებს
შენ აკვანიც დაურწიე,
მოღალატე, გამყიდველი
არ დასაჯე, გაუცინე.
წმინდა ხატზე საფიცარო,
სევდა გულში ვერ დავტიე,
დღეს უდროო შეხსენება
საქართველოვ, მაპატიე.

მიყვარს

მიყვარს ალაზნის ველი,
თავნეტარის მეოხე,
საქართველოს მთა მიყვარს
ამქვეყნური სამოთხე.
მიყვარს ზვარსაუფლოში
მტევნის ფერისცვალება,

ქურდულად მიპარული
ბიჭი ცელქი, თავნება.
მიყვარს ქვევრში მაჭარი
როცა შეიღვინება,
ჯაფით დაღვრილი მეზვრე
ხან რომ შეიგინება.
ბალღი მიყვარს ტიტინა,
სიტყვებ მარცვალ-მარცვალა,
დედა - ობლების გაზრდას
თავი რომ ანაცვალა.
მიყვარს ძველი ნაბადი,
გარეცხილი ნაცრითა,
ხუთ თაობას გაუძლო,
ვერავინ ვერ გაცვითა.
მიყვარს ფრანგი, ჩინელი
ქართულად რომ მღერიან,
საამისოდ ქართველი
უფალს გაუჩენია.
ისეც ჩვენს დედულ-მამულს
უკადრისი დამართეს,
სიყვარულს კი ხელიდან
ვერავინ ვერ წაგვართმევს.

პირშიშველ მოყმეს გითმობ საუფლოს

გათლილ გრანიტის ეს ქვაფენილი
ძველი ქალაქის სიმბოლოდ იქცა.
ობლად შემოვრჩი ამ არემარეს,
ყველა წავიდა, მალხენდა ვინცა.
და გაქრნენ, როგორც მთების ნისლები
მზის დანახვაზე ქრებიან უცებ,
საფლავის ქვებსაც რომ ფარავს ხავსი,
მიკვირს, სამყაროს მაჯა რომ უცემს.
ჩამენავლება ბოლო სანთელი,
ჩამოთავდება ჩემთვის საწუთრო,

ჩამიყოლიებს ბოროტი ძალა,
პირშიშველ მოყმეს გითმობ საუფლოს.
კვირიკე - დიდის, პატარა კახის,
ფუძე - ალაგზე შედექ ბერადა,
კახო, ერეკლეს სულსაცხონებლად
ბურჯზე დაცალე ჭვინის ხელადა.
მოყმევ, შენ განდობ მეფეთა ურვას,
საქმეთა მისტა იდექ მცველადა.

ბარაქალა შენ

აქ, ამ კახეთის წმინდა მიწაზე
როდის მოხველ, ან ვინ მოგიყვანა?
ნათელში იყოს ყველა გლეხკაცი,
შენს ძირთან ვინაც მუხლი იყარა.
ბარაქალა შენ, ფესვებნაკურთხო,
ამაგდებულო ვაზო ქართულო,
შენი მადლით ვართ ასე ამაყი
ვაზის ნაჟურო, ღვინოვ ზღაპრულო.
მრავალს იხარე, ნერგო ღვთიურო
მზის სავარცხელით დალალვარცხნილო,
მარადიულად ზეობის ნიშნად
ნინო წმინდანის ხელით ჯვარქმნილო.
ღვინოვ კახურო, შვებავ, იმედო,
„დამწვარ გულების „ „ჭირის“ მალამოვ,
გლეხკაცის გულის მესაიდუმლევ,
დარდიმანდების ჰარი-ჰარალოვ.
ჭირთათმენავ და ყველა სათავევ
ნიკალას სულში გამოდარეების,
მუზის მეწილევ პოეტების და
ქართული ლექსის ფერისცვალების.
დიდი მისია გარგუნათ ღმერთმა
ვაზის ძირო და მტევნის დალალო,
ქართველო მეზვრევ, ამ ქვეყნის ბურჯო,
შენ გაგიმარჯოს, კაცო ალალო.

ეთერ გაგნიძე

დაიბადა ქ. თელავში 1945წელს. დაამთავრა თელავის მეორე საშუალო სკოლა. მუშაობდა ძაფსახვევ ფაბრიკაში. 1969 წელს წავიდა ქ. ნოვოსიბირსკში სასწავლებლად. დაამთავრა ფარმაცევტული ტექნიკუმი. დაბრუნდა ქ. თელავში. მუშაობდა რაი-საავადმყოფოს აფთიაქში. 1984 წელს მისი ოჯახი მეუღლით და ორი შვილით - დავითი და გელა - წავიდა მაგადანში საცხოვრებლად. ქმარი იქ გარდაეცვალა. 2003 წელს შვილებით, რძლით და შვილიშვილებით დაბრუნდა სამშობლოში.

ალაზნის ველზე

ალაზნის ველზე ცა შეივერცხლა
და დიდ მუხაზე, როგორც თამადა
შემოჯდა მთვარე.
ყანწი შეუვსო ალაზნის გულში
ლერწმის ღერომ და მორიდებით დალოცეს ღამე.
ბახტრიონი კი თავაწეული
გაჰყურებს სივრცეს ფიქრში წასული,
და ელანდება ლელას თვალები
სამშობლოსათვის გადანამული.
ალავერდი კი თეთრი მტრედივით
გალავნის შიგნით დგას განაბული.
და ცხრაკარა კი ცხრა კარებს გვიღებს
დრო-ჟამისაგან გადახავსული.
ალაზნის ველზე ფერი დაკარგა
ღამემ, ქეიფში ღამენათევმა.
და მოთენთილი საძილედ მიწვა,
მდინარისპირზე სანამ გათენდა.

გაზაფხული

ალვის ხეები ცაში იწევენ.
გზებს მიჰყვებიან თეთრი არყები.
ფართო ქუჩები მოირთვა ისევ,
საგაზაფხულოდ მოვლენ მაყრები.

ო, რა კარგია მეც ამათსავით,
საგაზაფხულო მაყრებს დავხვდები.
თუნდაც სიკვდილი მეწვიოს ახლა,
არას დიდებით მე არ გავყვები.

****

ჩემი სამშობლოს უბეში,
ჩურჩულით, ტკბილად ვღაღადებ.
ღმერთო, ამ ნეტარ წუთებში
მამყოფე, ნუ გამაწვალებ.

ნურც გამიციებ ამ სითბოს,
ნურცა ამაგლეჯ უბიდან.
... ჩემი სამშობლოც ის იყოს
რაც გაგემეტოს გულიდან.

***

ეს დილაც ისე როგორ დაღამდეს
რომ ვერ დავწერო ერთი სტრიქონიც,
გინდ არ შემეძლოს კალმის აღება,
გულში მე მაინც ლექსებს ვიტყოდი.

როგორ არ ვუთხრა ლექსი ვარძიას,
ყალყზე შემომდგარ ჯვარის მონასტერს,

გულგადაისრულ უფლისციხეს და
მთელს საქართველოს გულზე მოსახვევს.

როგორ არ ვუთხრა ლექსი სიცოცხლეს,
მზის სხივებით და მთვარით გამოზრდილს,
როგორ არ ვუთხრა ლექსი სიყვარულს,
ოცნებითა და სევდით გამოვლილს.

ეს დილაც ისე როგორ დაღამდეს
რომ ვერ დავწერო ერთი სტრიქონიც,
გინდ არ შემეძლოს კალმის აღება,
გულში მე მაინც ლექსებს ვიტყოდი.

ჩემი ძმის საფლავთან

ცრემლის თქეშმა
თითქოს გულიც გადალეკა.
გარეცხილი წაიღო და შორს გარიყა.
ვდგავარ მხოლოდ და გაყინულ
                                    მარმარილოს
შემოვცქერი.
სულიერად მთლად გამყინა.
სიჩუმეა, თავდახრილი შენს წინ
                                    ვდგავარ
და მაჟრჟოლებს მარმარილოს
                                    ცივი მზრეა.
კვიპაროსიც თავდახრილი
                                    ჩამოგვცქერის
და მონოლოგს ამბობს მისი
                                    მძიმე რხევა.

***

ქარმა დააფრთხო ცაზე ღრუბლები
და დიდ მინდორზე ჯოგი ცხენების.

ღრუბელი გაჰყვა ღრუბელს სისწრაფით
უაღვიროდ და ტანგახელებით.

სულ გადატორეს ზვიადი მთები
ქანცგაწყვეტილნი სადღაც შეჩერდნენ,
ქარი კი მაინც ბღავის და ბდღვინავს
ამისი შიშით მთანიც გახევდნენ.

ხეს შეალეწა შმაგად ტოტები,
სადღაც სარკმელიც ჩამოამსხვრია.
შემდეგ მიჩუმდა როგორც მხედარი,
ჯირითობას რომ ჩამოაღწია.

ირაკლი დარძული

დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ ვეძებში. დაამთავრა თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლა და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა თელავის რაიონის სხვადასხვა სკოლებში და პედაგოგიურ ინსტიტუტში ინგლისური ენის პედაგოგად. წერს ბავშვობიდან. ხელმძღვანელობდა თელავში არსებულ ლიტერატურულ წრეს. ბუნების დიდი მოყვარულია. ნაფარეულში, საკუთარ კარ-მიდამოში გაშენებული აქვს უამრავი სამკურნალო და დეკორატიული მცენარე.

ოდა საქართველოს

გულში მზე გენთოს, თვალებში - ზეცა,
ცისა და მიწის მადლი გშველოდეს.
ტანზე მარადჟამს წალკოტი გეცვას
და ცისარტყელა წელზე გშვენოდეს.
ნუ გაგელიოს მზის გაღიმება,
დილით,- ტყეს - ნისლი და ბალახს - ცვარი.
მიწაში თესლის გამოღივება,
მერე ბეღლებში დამდგარი ხვავი.
ზვარში - გლეხკაცის ჩაღიღინება,
მთებზე - ცხვარი და ბუბუნი ხარის.
ნუ მოგვეშალოს უტკბესი ყოვლად
შენი ურმული და შენი ნანა,
მინდვრად - დაღლილის ჩეროში წოლა,
სატრფო რომ ღვინოს მიართმევს თანაც.

ქორწილები და ქუდების სროლა,
ზედ ათი ვაჟი სულ ალვისტანა.
დე, საქართველოვ, ისე, ვით ძველად,
სულ გამარჯვების გზებით გატარა.

ვაჟა-ფშაველა

მთასთან სახლობდა და მისი ეშხით
ცას სვამდა პეშვით, როგორც არაგვი.
მთა კალამივით მოსდევდა ხელში
და ლექსს ავსებდა მისი ბარაქით.

ლტოლვა ფარული ვერ ცვლიდა არჩივს,
თუმცა გხიბლავდა შვება ბარული
და მთებში არჩვის მეზობლად დარჩი
ყველა ტკივილით და სიყვარულით.

ნიავის სუნთქვა გაიზიარე,
დასწვდი ბალახის იდუმალ სიმებს
და სიმღერებით აამზიანე
ბუნების ფერთა ხმა მოციმციმე.

ღამეებს სტეხდი დაჭრილ არწივთან
და ნუკრს, უმწეოს, ასმევდი წყაროს
გულში იების ცრემლით გაწვიმდა
პატარა მთა და დიდი სამყარო.

გხიბლავდა - მიწას მკერდი რომ უხურს
და მთას ირმები ლაღად ყვირიან.
ლაშარის გორზე შემომდგარ ლუხუმს
გზას უნათებენ მზეც და კვირიაც.

მდინარე რომ ღრღნის კლდეების ლაგამს
და შენს მუხლმაგარ ლურჯას გზა ვერ ღლის

და მკერდით არყის ჩურჩული დაგაქვს
როგორც მთებს დაგავს ამბორი მეხის.

პოეტის დაბადება

მზეს სიცხემ დაუწია
დღე მიასვენებს მარშით.
საღამო დაუწვიათ
წითელ ვეშაპებს ცაში.
გადაყლაპული მთვარე
მთვარე, ჯერ კიდევ ბავშვი,
გაახელს საცრის თვალებს
და ღრუბლებს ფატრავს დაშნით.
სამყარო დიდი სახლია,
მთვარის ჭაღი რომ შვენის.
ჭერს მწვანე ქუდებს ახლიან
ქარში დამთვრალი ხენი.
და ღამის თაღებნაღვლიან
სვეტთან დგას თეთრი ცხენი -
ვარსკვლავთა ცეცხლი დაღვრილა
ლოდინში ფლოქვთა ცემით.

ძისადმი

ციდან ანგელოსთა მომესმა გალობა
და ვიქეც ღაღადად,
რამეთუ, უფალმა მოიღო წყალობა -
ლოდინში ამაოდ არ შემომაღამდა:
იშვა ძე.
ძე იშვა, - ნამცეცა, პატარა
და თავი უმალვე ქვეყანას გააცნო.
გულებში იმედის მზე გამოადარა
ყრუ სევდის სანაცვლოდ.

დაგლოცავ, შვილოკო, იცოცხლე, ილაღე,
დაე, სიკეთისთვის სიკეთეს იმკიდე.
ვინძლო, ჩვენს ქვეყანას შემატო სიმაღლე,
ხოლო დედამიწას სიდიდე.
ცხოვრების გრძელ გზაზე მარადის
მადლი ღვთაებრივი გფარავდეს.

ზამთრის ბალადა

ერთხელ ზამთარმა დაიბარა მთიელი ქარი.
გადააბარა ღრუბლების ფარა
და უთხრა: ბარად გარეკე ცხვარი!
მწყემსი უჩუმრად გამოეპარა
და სუსხიანი მათრახის ქნევით
მთიდან პირუტყვი აფრინა ქვევით.
მოძოვეს ზეცის ლურჯი ყამირი,
ღრუბლებმა სივრცე აატალახეს
და ერთადერთი ველზე ყვავილი
ფეხით გალახეს.
შესცივდათ მაშინ მიწას და სახლებს,
ადამიანებს, ჩიტებს, ბალახებს.
ატირებული სახით ხეებმა
მკვდარი ფოთლები ქარში დამარხეს.
მიწას შიშველი მკერდი სტკიოდა
და შებოლილი - სახლებს - ფილტვები.
ხელებს მყინავსო, - ხე გაჰკიოდა,
დავიღუპებით! - კრთოდნენ კვირტები.
ზამთრის ბრძანება მყისვე გაიცა:
გაპარსეს ღრუბლის თეთრი ფარები
და შეუკერეს საბანი მიწას,
სახლს - ქუდი. ხეებს - ხელთათმანები.
ტოტზე ჩამოჯდა ქარი დაღლილი
და სალამური აახმიანა:
გარინდულიყო სივრცე ბალღივით,

ფხიზლობდა მხოლოდ ადამიანი.
მას ხომ ყოველი ახალი წელი
განახლებული იმედით ავსებს,
რომ, მზე გამოვა, ღრუბლებს მოწველის
და დამზრალ მიწას თბილ რძეს შეასმევს.

ბარათაშვილი

მტკვარზე დანთებულ ფიქრივით ბოლავს
მთაწმინდის ლურჯი შემოღამება...
მერე ხანმარი, გიჟური სრბოლა
და მხედარს თავი არ ენანება.

უფალი ბავშვებს იტაცებს თურმე,
ობოლი, საით მიაფრენ მერანს?
-სად წვიმა - ქარი ვერ დამიურვებს
ხოლო სიკვდილი ვერ მომკლავს, ვერა!

არც ახსოვს სიკვდილს დღე უარესი:
დილა გამოჰფენს სისხლიან დროშას
და „ქართლის ბედი“ ლოცვად ჩაესმის
ბავშვის წინაშე დაჩოქლ დრო-ჟამს.

იცით რას ჩურჩულებს ბებერი ჭადარი?

ოდიდან მომდგამს, ოდიდან მოვთქვამ
ერეკლეს ხმლის და თამარის ციხის
მე ვწყევლი ყაენს, შახსა და ხონთქარს
და დაკოდილ ტანს ქალაქი მიხვევს.

ჩვენი და-ძმები, მუხა და თელა,
მტერმა ხოცა და ათრია თმებით.
ჟამთა სიავემ ვინც ვერ გათელა,
ჩემო თელავო, მე და ეს მთები!

ყოველ ცისმარე ყოვლისმომცველი
ჩემი ტოტებით ზეცას რომ ვერთვი,
მზის სამრეკლოსთან ვისთვის ვლოცულობ,
ჩემო თელავო?
შენთვის, ო, შენთვის!
ოდესმე, ვიცი მეც დავივსები
ამომევსება თვალები მიწით.
შენ წახვალ ცისკენ ჩემი ფესვებით,
ჩემო თელავო,
ოდესმე , ვიცი!

მარიამ დედაბრიშვილი

დაიბადა 1990 წლის 8 მარტს ქალაქ თელავში. დაამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და შავი ზღვის უნივერსიტეტი. სწავლობს მაგისტრარურაში. პირველი კურსი დახურა ქ. პარიზში.
არის შავი ზღვის უნივერსიტეტის ლექტორი. ჰყავს მეუღე და ქალიშვილი.
ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, რუსულ ენებს. გამოცემული აქვე ორი კრებული.

წმინდა ნინო

ჯავახეთის მწვერვალებს
თეთრი ქუდი ეხურათ
და ლურჯთვალა ფარავანს
დაჰყურებდნენ მეფურად.
„ნინო მოდის“ - აჩურჩულდნენ
თეთრი ფშატის ტევრები,
სიომ ფეხქვეშ დაუფინა
იასამნის მტევნები.
თან მოაქვსო ვაზის ჯვარი
თავის თმებით შეკრული,
მხევალია ქრისტიანი,
ქრისტეს რჯულის ერთგული.
მოდიოდა დიდი რწმენით,
არ ახსოვდა არავინ,
დაასვენა მცხეთას ჯვარი,
შემოავლო კარავი.
ქალიშვილი მზისთვალება
სასწაულებს ახდენდა,

ლოცულობდა ქრისტეს რწმენით,
წმინდა სანთლებს ანთებდა.
მოაქცია ქრისტეს რჯულზე
მირიანი - ურწმუნო,
სასწაულით გააკვირვა
ბევრი წარმართ-ურჯულო.
გაანათლა საქართველო,
ქრისტეს რწმენით დალოცა.
შემდეგ ქიზიყს მიაშურა,
ბოდბეს, წმინდა სალოცავს.
დღესაც მისი შუქი მოსავს
წმინდა მიწის სანახებს,
ნინოს ცრემლი არ უშრებათ
მოხასხასე ბალახებს.

ფრთები

ფრთები არ მაქვს,
ცას მივეკრა ტოროლად,
ღამეა და საოცარი წუთია
მთებს წვერებზე
 წამოუცვამთ მნათობი
და სხივები კელაპტრებად უნთიათ.

ფრთები რომ მქონდეს
შევიჭრებოდი ცაში ტოროლად,
ფრთები რომ მქონდეს
დავკვალავდი ლაჟვარდს იისფერს,

ფრთები რომ მქონდეს
დავიჭერდი მეწამულ ღრუბელს
ცად რომ მიიწევს.

დედაო, მიწავ!

მწვანე ბალახზე გულაღმა ვწევარ,
მიწის ბუბუნი მაკრთობს, მაშინებს
დედაო, მიწავ! შენი ნასხლეტი
შენგან მოწყვეტას გადამარჩინე!

ჩემი გორაკი

ფიჭვის ყანწებით შენს ჰაერს ვხუხავ,
ნავის სურნელში ყლორტად ვიზრდები.
ზუზუმბოს გორავ, ხარ ჩემი სუნთქვა,
ტყეო ზურმუხტო, ხარ ჩემი ფრთები.

ანკარა წყაროვ, ასე იდინე,
მშობელი მიწის წვენი მასხურე.
გზა დამილოცე ციცქნა საყდარო,
თუკი ცხოვრებით დავიმსახურე!

აღსარება
(ილიას ძეგლთან)

შენს ძეგლთან ყოველდღე გავივლი
და თვალებს გარიდებ სირცხვილით,
ეს მე არ გაცალე სიბერე,
ეს მე მოგივლინე სიკვდილი.
ეს მე გავისროლე უგულოდ
და მამულს ჩავაცვი ძაძები,
მე საგურამოში ვიკივლე,
ყვარელში ვატირე ვაზები.

ვესროლე სამშობლოს მომავალს,
გულში დავუტოვე იარა,
მაგრამ უკვდავებად გაბრწყინდი,
დაგადგა ნათელი კრიალა.

იქნებ მაპატიო, შემინდო
წმინდაო, მართალო ილია,
რადგანაც, მართალიც, მტყუანიც,
მამულის მიწა-წყლის შვილია.

ვესროლე საკუთარ მომავალს,
ვესროლე საკუთარ განაგისს,
როგორც მორიელმა, დაგშხამე,
ამიხდა მე საბას არაკი.

შეგვინდე, თუ შესძლებ, შეგვინდე,
ესოდენ ავი და ბოროტი,
სულ წმინდა გვაფინე ნათელი,
გვლოცე და გვინათე ბოლომდი.

რადგანაც მრუდე და მართალი
ყველა საქართველოს შვილია,
შეგვინდე ის ტყვიაც ბოროტი,
წმინდაო, მართალო ილია!

თვალები

თურმე თვალები ყოფილა
გულის სარკე და ნათელი.
ენა ვერ იტყვის მასავით
რაც უნდა ჰქონდეს სათქმელი.
თვალებში ცეცხლი ანთია,
თითქოს ბრიალებს ალებით,
გული თუ დარდით სავსეა,
ცრემლით სავსეა თვალები.
თვალები დიდი კაეშნით
და ცრემლით მაშინ ივსება
როცა გატეხილ გულიდან
ტკივილი მოდის ზვირთებად.

თვალები გულის სარკეა,
ხან ბუნდი, ხანაც ნათელი,
თვალები სრულად იტყვიან
რაც კი გულს ჰქონდა სათქმელი.

საფიცარი ჩემი

მაღლა ბახტრიონია, დაბლა - ალავერდი,
ბახრტიონი - არწივი, ალავერდი - გედი.
შუამთა და იყალთო, ცხრაკარა და გრემი,
ჩემი სიამაყე და საფიცარი ჩემი

ზუზუმბო

ალვის ხეებს გასცვენიათ ფოთოლი,
შიშველი დგას უკვე მუხც, თელაც,
შენ კი მწვანე ხილაბანდით მოსილი
იავნანას დაჰღუღუნებ თელავს!

დილა მცხეთაში

შაშვი მღეროდა მწვანე გორაზე
მაისის ცინცხალ დილას აქებდა,
ციცქნა ბულბული წითელ ვარდებთან
საოცარ ჰანგებს არაკრაკებდა.

ჩამოიქროლა სიომ რიჟრაჟის
ააბოჟირა ირგვლივ ყოველი,
მაღლიდან ჯვარი მესალმებოდა,
ბინდს ამარცხებდა სვეტიცხოველი.

ცისანა ზარაფიშვილი - ძამუკაშვილი

დაიბადა ქ. თელავში. დაამთავრა თელავის მე-5 საშუალო სკოლა. სწავლობდა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში.
ლექსებს ბეჭდავს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ჰყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი

თელავო

ვაზო, ბულბულის სტვენით დამტკბარო,
„ღვინოვ კახეთოს“ აგიმღერებდი.
გულო, თელავის ეშხით დამწვარო,
ვაზის ლერწივით აგიტირებდი.

ვარდობის თვეში მთებდათოვლილო,
მთვარევ, ტრფიალში დაგიბერებდი,
ბატონის წყაროვ, დამშვენებულო,
სტუმარო, ღვინით აგიმღერებდი.

ბაღჩა - ბეჭედის ზურმუხტთვალი ხარ,
ბაჯაღლო განძი გადასარჩენი,
ცივგომბორიდან კავკასიონზე,
ცად არწივების გადასაფრენი.

ჩამოგიქროლებს ნადიკვრის სიო,
ალაზნის ველო, ახმიანდები,
ჭადარო, ტრფობით აზურმუხტდები,
ქალის თმასავით აშრიალდები.

ცას მოღუღუნე თეთრო მტრედებო
სულს ანგელოზად ჩამიფრინდებით,
წმინდა ღვთისმშობლის დიდო ტაძარო
შემს ცას და მიწას შეგევედრები.

მეფე ერეკლეს ჯაჭვის პერანგო
მისი დიდებით კვლავაც ბრწყინდები.
ერეკლეს ხმალო, ხელით ნაჭედო,
მტერს კვლავაც მედგრად შეერკინები.

მეფაიტონე, ყარაჩოხლებო,
ეჟვნებო ეტლის აჟღარუნდებით,
მაწანწარიდან შუამთის შარას
მეარღნევ, აღნით ამიმღერდები.

ჩემო ღვთაებავ და გორიჯვარო
გულზე თილისმად დაგეკიდები.
ბურჯო, წინაპრით ნაამაყარო
გეტრფი, ზვარაკად შეგეწირები.

კლდეს მიჯაჭვულსაც გაგიმარჯვნია

სამშობლოვ, შენი ჯაჭვის პერანგი
ბევრჯერ სცადეს და ვერვინ დახია,
კურთხეულ არის მაცხოვრის ხელით,
გმირთა სულებით ცა თავს გარტყია.
შენს დაჭრილ ფესვებს რა გაამრთელებს,
რამდენმა სისხლი მიწას განთხია,
მწუხრი დროს ითვლის, წუთსა და წამებს,
შენს აღდგინების ჟამი ანთია.
ბელტების ხნულში ვაზის ლერწსა ჰყრი,
სხეულს სიცოცხლის ტანჯვა გატყვია,
გულში ნამდვილი მოძმე ჩაიკარ,
მოღალატენიც ბევრი გარტყია.
გული მეწურვის, ვიცი, არ გამთქვამ,

ცხოვრება მგლური განუზრახიათ,
ოღონდ გიხილო ცამდე აწვდილი
მე სხვა ოცნება არ გამაჩნია.
ცეცხლს იკიდებენ შენს აღდგინებით,
„აქ დიდოსტატსაც სჭრიან მარჯვენას“
ნეტავ შენს სიბრძნეს და გამტანობას
კლდეს მიჯაჭვულსაც გაგიმარჯვნია.

ცბიერ სამყაროში სუნთქვა მიძნელდება

ცბიერ სამყაროში სუნთქვა მიძნელდება
ნეტავი შემეძლოს ფრენა ლაჟვარდებში,
არ მინდა სამშობლოს ღალატი დამწამონ
მომწყინდა ყურება წუმპის და ტალახის.
მუხუდოსოდენა გული ბეწვს ჰკიდია
ვერ ვიკლავ სამშობლოს წყურვილს ხეტიალში,
ჟრუანტელის მომგვრელი მძიმე ხილვებია
სამშობლო სულს ღაფავს ძლიერ ქარიშხალში.
ცხოვრების ამ დელგმას სული არ ნებდება,
ძალაც აღარ შემწევს ძლიერ გულდაჩეხილს
მშვიდობის მტრედები იმედით გვიცქერიან,
როცა უსასოო მისი კვნესა მესმის.
გზააბნეული ვარ, ბილიკებს მივყვები,
გული არ წყნარდება ძაღლების ყეფაში,
ბედ-იღბლის ამრევნი სულში მეჭრებიან,
ტკივილს ვერ ვიყუჩებ ამდაგვარ ყოფაში.

ნელი ზურაბშვილი

დაიბადა ქ. თელავში, 1951წ. 17 ივლისს. 1968წელს დაამთავრა თელავის რუსული საშუალო სკოლა. 1971წელს - თელავის სამუსიკო სასწავლებელი(ფორტეპიანოს კლასი). 1978 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკის ისტორიის სპეციალობით. ამავე წელს - კონსერვატორიასთან არსებული ჟურნალისტიკის ფაკულტეტი პროფ. ნოდარ ტაბიძის ხელმძღვანელობით. 1994 წელს დაამტავრა მ. ფანიაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების აკადემია ფორტეპიანოს სპეციალობით. წლების განმავლობაში იყო „ნიკო სულხანიშვილის საზოგადოების“ თავმჯდომარე.

ამჟამად მუშაობს თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგად.

ჰყავს ორი შვილი: გიორგი და ელენე.

ტანგო

ეს ფენომენი - ტანგო,
ცეკვა, ცეცხლი და ვნება,
ო, ეს სასტიკი ტანგო,
ემოცია და გზნება.
ვნება მოძრავი, შმაგი,
ცხელი რიტმები დრამის,
ბანდენიონის ტემბრი,
გაგაბრუებდეს ლამის.
რომანტიკული ფერი,
ინტიმი სხვათა თვალწინ,
გულების სწრაფი ცემა
აელვარება ღაწვის.

ტანგო - წითელი კაბა,
ტანგო - შლაპა და ვარდი,
დაჟინებული მზერა
და ემოცია მზარდი.
ძლიერ, დაკუნთულ სხეულს
ნაზი გრაცია ეკვრის
და პერკუსიაც ტანგოს
თავის დარტყმებით ერწყმის.

P.S. ო, არ გვეღირსა ერთხელ
ერთად გვეცეკვა ტანგო
და მეღიმება ჩემთვის,
თუ მიმიხვდები, რატომ?

მე და ქარი

ამინდი თბილი
ირგვლივ სიმშვიდე,
უქაროდ მომწყინდა..
უეცრად.. ქარმა,
რომ არ ველოდი
ფოთლები მოსწყვიტა.
ხე გააშიშვლა,
წელში მოღუნა
და შეარხია:
ქარმა ფოთლების
ოქროს სამოსი
შემომახვია.
გაგიჟებულმა
ცისფერი კაბა
შემომახია!
და მერე ისევ
ოქროს ფოთლების
ოქროს სამოსი
ძალზე სათუთად,

თითქოს პატარას
შემომახვია!...

***

მთის მწვერვალებს ავუყვები,
მთის გრეხილებს დავუყვები,
მთა თავისას მომიყვება
და მე ჩემსას მოვუყვები.
მოვუყვები, რომ მასავით
მიყვარს მზე და მიყვარს მთვარე,
თვითონ მთა და მის გარშემო
ნაირფერი არემარე.
მწუხრსაც მასავით განვიცდი,
მასავით ნათელი მმოსავს,
მასავით მიძგერს ეს გული,
კეთილს და ლამაზს რომ ლოცავს.
ირმის ბღავილი მეც შემძრავს,
ქარის ზუზუნი მეც მაკრთობს,
მასავით ვუმზერ ვარსკვლავებს
და სიყვარული მეც მათრობს.
P.Sმთაში იყავი? მეც მთაში ვიყავ -
სუფთა ჰაერი, კაშკაშა ზეცა,
მტვრიან ქალაქის სიბინძურისგან
განვიწმინდებით შენცა და მეცა..

ჯ. ვერდის „აიდა“

ცრემლმორეული მგოსანი
ააკვნესებდა ლირას,
უმღერდა უკვდავ სიყვარულს
განცდილს ნილოსის პირას...
იქ რადამესი ჯურღმულში
მისჩერებია ლოდებს,
აი, აიდაც გამოჩნდა -
ის მის სიყვარულს ჰმონებს!

შავ სამოსელში ამნერის
ღმერთებს თავს ატეხს რისხვას,
ქურუმებს წყევლას უგზავნის,
უმოწყალოდა ჰკიცხავს!!
აიდასავით სიყვარულს
მხოლოდ ერთისთვის ჰმონებს,
გახევებული ამნერის
ზევით მწარედა ჰგოდებს...

ნისლები

დაბლა დასულან ნისლები,
მაღლა მწვერვალნი ბრწყინავენ,
ამ სახლის აივანიდან
მოჩანს სურათი ბრწყინვალე.
ნისლები ფარას მაგონებს,
გაფანტულს მინდორ-ველადა
არა ჰყავთ მწყემსი, ნაგაზი,
მიტომ ცურავენ ნელადა.
მყინვარწვერს ოქროს გვირგვინი
თავს დაუხურავს მეფურად,
მწვერვალებს - თეთრი ფაფახი
ჩამოუფხატავთ გლეხურად.
თოვლს მთის ძირში გაუშლია
საბანი და სასთაული[1]
კონტრასტებიც მაოცებენ,
ჰარმონიაც - სასწაული!

ასოებს ხავსი მოჰკიდებიათ...

როგორ მომენატრებიან
რუხი ქვების დახავსული ასოები:

---

[1] „სასთაული“ - ძველი ქართული „ბალიში“

მივალ, დავეკონები და
ვუალერსებ სასოებით.

ქვების ქვეშ წვანან ძველთაგან
კაცნი მართალნი, კეთილნი,
ამიტომ არის ბრძენთაგან
სახელნი ამოკვეთილნი.

მაოცებს კვიპაროსების
ზეაწეული ტონი
და მღვდლების სიდარბაისლე,
განსწავლულობის დონე.

გუმბათოვანი ტაძრიდან
წყნარი გალობა ისმის.
გარინდულია ყოველი,
მათრობს სურნელი მიწის.

ჰანგები დალივლივებენ,
სხეულში სითბო მეღვრება
და ხავსიანი ლოდები
ჩემს სულს საყრდენად ედება...

ამ ხავერდოვან ბალახზე -
მარგალიტები ბრწყინვალე,
ცად აზიდული გუმბათი -
ზედ ჯვარი ოქროდ მბზინვარე.

მიმოფანტულან კუნძები
გადაპობილი გულებით,
მდუმარე მჭერმეტყველება...
ირგვლივ მთვლემარე სულები.

სული თრთთის და თან მაღლდება,
სხეულიც მასვე აჰყვება,

ორივე ზევით მიიწევს,
სიმძიმე დაბლა დარჩება -

ეს არის სრული ზეობა
და განწმენდაა სულის,
ცხოვრების აურზაურის
მიტოვებაა სრული.

თახცა-თაღოვან კედლებში
შუქის არილი კიაფობს,
ყველა ქვა ცოდნის კერისა
წარსულის ამბავს გვიამბობს.

როგორ მომენატრებიან
რუხი ქვების დახავსული ასოები:
მივალ, დავეკონები და
ვუალერსებ სასოებით.

P.S ისინი ღირსნი არიან
ქალის უხმო ალერსისა -
რაც იქნება სიცოცხლეში
არც არასდროს არ ეღირსათ....

გარი ზურაბიშვილი

დაიბადა ქ. თელავში 1937 წლის 24 აგვისტოს. დაამთავრა თელავის მე-3 საშუალო სკოლა. მსახურობდა თელავის სამხედრო ნაწილში. ამავდროულად წერდა ლექსებს.

1984 წლიდან პენსიონერია.

მეუღლეს

მეუღლე ხარ, განა ღმერთი, მაგრამ ჩემთვის ღმერთობ,ჩემი გულის ხიხარულო, ჩემო ერთადერთო! უშენობით არარა ვარ, მითუმეტეს ახლა, როცა მომერია თეთრი და ვიგრძენი დაღლა.

ჩემი გული შენ გეკუთვნის და არავის არა,
სიხარულო ერთადერთო, ჩემს შვილების გარდა.
მეუღლე ხარ, განა ღმერთი, მაგრამ ჩემთვის ღმერთობ,
ჩემი გულის საუნჯე ხარ, ჩემო ერთადერთო.

წუთისოფელი

წუღისოფელს ბუნებრივად მივდვთ, როგორც გამობმული,
რა ყოფილა ეს ქვეყანა, დახლართული, მეტად რთული.
წუთისოფელს წუთიერად ვუცქერით და უცებ ქრება,
ვერც გავიგებთ და სიკვდილი თავზე უცებ დაგვადგება
ამიტომაც წუთისოფლის სტუმრებს გვმართებს კარგი ქცევა,
რადგან ვერვინ, ჩვენთაგანი სიკვდილს ვერსად გაექცევა.

ფეხი დამადგით

მოვედით შენთან, გულს დაგაბიჯეთ,
როგორც გითქვამს შენდა ანდერძად.
შენი შვილები, შვილთაშილები,
 რაც შეგძრავდა და შეგატოკებდა.

ცხოვრება ღელავს როგორც შავი ზღვა,
ტალღებს აზვირთებს, კეცავს და ისვრის.
შენ წყნარად წევხარ ტაძარის ბჭესთან
და სული ლაღობს ბევრ მრევლის მისვლით.

მოვა დრო, როცა გამოიდარებს,
ზღვის ღელვას შეცვლის ჟამი დიდების,
ჩვენ არ ვიქნებით, ის არ იქნება,
მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით.

ცხოვრება ბრუნავს შეუჩერებლად,
ყველას აბრუნებს და ჩვენც, ასევე,
ჟამი დროისა ზამთრობს, ზაფხულობს,
მზე გვათბობს, თოვლი ისევ გვასველებს.

ფეხი დამადგით გულზე უშიშრად,
როგორც გითქვამს შენდა ანდერძად,
შენმა შვილებმა, შვილთაშილებმა,
 რაც შეგძრავდა და შეგატოკებდა.

მე უცნაური სიზმრები ვიცი

მე უცნაური სიზმრები ვიცი,
 არ ვიცი, რატომ ვარ მათი მონა
ყოველთვის მიკვირს, ნეტავი ასე

ასე ძლიერად რად დამომონა.

სიზმარში ვხედავ გორგასალის ლანდს
და პატარა კახს ცხენზე აღმათულს,
ვხედავ ჩვენს გმირებს, ნამდვილ დევგმირებს,
ვხედავ ამაყად წელში გამართულს.

დღეს მე შევნატრი ყველა წინაპარს,
ვინც იმ სიზმრებში გმირებად ვიცან,
მათი სახელი სამარადჟამოდ
გულში ჩაიკრა ქართულმა მიწამ.

იმ ქართველეთან დავიმარხები,
მეც დამიაკვნებს იგივე მიწა,
მეც დამიტირებს იგივე ქარი,
მეც ვეღირსები როდისმე იმ წამს.

სახელი ჩემი მათში არა ჩანს,
როგორც მზის შუქში მთვარის ნათელი,
მაგრამ უსიტყვოდ საქართველოსთვის
მეც ვიღველფები, როგორც სანთელი.

ლეილა თარალაშვილი

დაიბადა 1936 წლის 2 იანვარს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის კვალიფიკაციით. 1972 წელს მოიპოვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2008 წლიდან ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორია. გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო ნაშრომი. გამოცემული აქვს ლექსების 7 კრებული. ლეილა თარალაშვილი, როგორც პოეტი, მურმან ლებანიძემ აღმოაჩინა, ვინც მისი პირველი წიგნის „შენ გელოდები“ რედაქტორი იყო.

არაფერი! ავერცხლდება ისევ!
(მურმანლებანიძის გახსენება)

ერთი გვქონდა სამშობლო და რჯული
ჯიშით, სისხლით, გენით ქართლოსიანს,
მიდიხარ და .... საქართველოს ურვა
იქაც მოგდევს უშიშარს და სვიანს!
ხანჯალივით აგილესავს სიტყვა,
გულზე რაიც არ ეხატა მავანს,
მაინც ღმერთი დაფნის გვირგვინს გიწნავს,
ზეცისა და მიწის შუამავალს.
სევდა წაგყვა, საქართველოს სევდა,
რა სიზმრებით აგვსებია უბე,
უფლისციხეს ისევ სისხლი წვეთავს
მრუმე ფიქრი მოგდევს ღრუბელ-ღრუბელ...
ო, მაესტრო, ანთებული მუზით
ორლესურით დაგისერეს ფრთები,
არაფერი! ავერცხლდება ისევ!
კავკასიის ქედმაღალი მთები.

ღვთის ნაბადი ზარდახშაა...

საქართველო, ღვთის ნაბადი ზარდახშაა...
ია-ვარდთა ეს სავანე ვადღეგრძელოთ!
ცის ლაჟვარდზე მოკაშკაშე მზე და მთვარე -
ვადღეგრძელოთ სამკაულთა მთა და მდელო!!

ვადღეგრძელოთ საქართველოს ხარ-ირმები,
ფურ-ირმები, მიწა-წყალი ვადღეგრძელოთ!
ვადღეგრძელოთ! საქართველოს ცა-ფირუზი,
სასიცოცხლო მზის დღეები გავუგრძელოთ...

ვადღეგრძელოთ! სამშვიდობო საძმო ხიდი
ჭირნახული, მთა და ბარი ვადღეგრძელოთ!
ვადღეგრძელოთ! ცად ასული მწვერვალები,
მონავარდე არწივები ვადღეგრძელოთ!

რომ მამული უნაყოფოდ არა ვთელოთ :
მოვხნათ, ვთესოთ და დრო უქმად არა ვწელოთ,
სამშვიდობო საძმო ენა ვადღეგრძელოთ!
გაბრწყინდება ღვთის ნაკურთხი საქართველო!

მსოფლიოში ქართლოსიანთ ფერით ვივლით,
და გავიტანთ სამეგობრო დროშით ლელოს!
ღვთისმშობელო! ქართვლის დედა დაგვილოცე
სამამულე ყრმის აკვნებიც დაგვირწიე!

დაგვილოცე ! ღვთის ნაბადი ცის ზარდახშა
და , სამების წმინდა მადლი შეგვაწიე!
ვარდ-ბულბულთა ენა, რჯული ვადღეგრძელოთ!
განვადიდოთ ღვთის ნაბადი ეს ზარდახშა!

დედის რძეა...

უფლის მიერ ნაკურთხია
„საფერავი“ ცვრიანა,
გამოვცალოთ, შეგვერგება
უკვდავების ფიალა.
მომწონს „მწვანე“ სანატრელი
„თავკვერი“ და „ხვანჭკარა“
საქართველოს მიწა-ჭრელი
რძეს იწველის ანკარას.
აბა, როგორ დავამმაროთ
„რვა ნომერი“ კახური,
დალოცვილი „რქაწითელი“
სალხინოა საშური.
და ვიმღეროთ უფლისათვის
წერეთელის „სულიკო“
რომ სალოცავ -საგალობლად
უბერებელ სულ იყოს....

და ... ნაზამთრალი კვირტი გრძნეული...

ლერწმის ტოტივით ირწევი ქარში
შენი ტკივილი ძველთა-ძველია,
აღზევებულხარ ღვთის სიყვარულით,
შენი გატეხვა ძალზე ძნელია.
მიმოგეფანტა ჯიშები ჭრელი,
საგალობელს რომ წერდა მგოსანი,
მჯერა, ფერს იცვლის ალაზნის ველი,
ვაზისმკერდს იცავს მეზვრე ფრთოსანი...
რა გამოულევს ვაზს ბედაურებს,
ვის გაუყვია ვაზი და ღვინო,
კვლავ მოიმრავლებს ჯიშებს მადლიანს:
„საფერავს“, „მწვანეს“, „რქაწითელს“, „პინოს“
და ... ნაზამთრალი კვირტი გრძნეული...

ისევ იფეთქებს მწვანე ორგიად,
იტირებს შენი ნაზი სხეული,
ის ყვავილობის ჟამიც მოგივა....

დედა გენაცვალოს შვილო

ძილო, რად არა მეძინები,
სიზმრით რად მაწამებ, ძილო!
უცბად ყურში ხმა ჩამესმის:
„დედა გენაცვალოს შვილო“
თვითონ დედა არსაით ჩანს,
ნისლში გავარჩიო ვცდილობ,
შვილო, მე ვარ დედაშენი,
დედა გენაცვალოს შვილო!
სახლში, ხალხში, შინ თუ გარეთ
ვაი, ჩემს ბედს, სულზე ტკბილო.
ყველგან შენი ხმა მომძახის:
დედა გენაცვალოს შვილო!
გეძებ, გეძებ ნაფუძვარზე,
სად გიპოვო მზეზეც თბილო,
სულეთიდან ხმა მეძახის:
„დედა გენაცვალოს შვილო!“

სულს გაზაფხული ახელებს....

რიჟრაჟზე ღამენათევი
ნისლი გაფანტა ნიავმა,
ნათელი დღის მობრძანება
ალაზნის ველსაც ეამა.
აჰა, ერთი დღეც მზიანი,
ტკბილ გაზაფხულის წყალობად
ცა გააყრუა ტოროლას
შაშვის და მერცხლის გალობამ.
ალაზანი კი მოღელავს

ატეხილ ჭალებს ამღერებს,
გულს გაზაფხული უხარის,
სულს გაზაფხული ახელებს....
ღმერთო, აკურთხე ეს კუთხე -
ღვთიური ალაზნის ველი,
დალოცე ესე ქვეყანა -
ლიხს იქეთი და აქეთი!
ზეცას აყრუებს ტოროლა
შაშვის და მერცხლის გალობა,
აჰა, ერთი დღეც მზიანი,
ტკბილ გაზაფხულის წყალობად!

ცისანა თვალიაშვილი

დაიბადა 1949 წელს ყვარლის რაიონის ახალსოფელში. სკოლის დამთავრების შემდეგ ცაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. მუშაობდა სხვადასხვა სკოლასა და ინსტიტუტში მასწავლებლად. ამჟამად მუშაობს თელავის გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგედ . ლექსების და მინიატურების წერა დაიწყო სტუდენტობის წლებში. გამოცემული აქვს ერთი კრებული „სიყვარულის თვალებით“. გამოსაცემად ამზადებს საბავშვო კრებულს.

ქართველი ერი

საუკუნეთა მიღმიდან მოდის
ხან ნაწილ-ნაწილ და ხანაც მთელი:
ლამაზი ჯიშით, გენითა და სულის მხნეობით,
გაუტეხელი და ამაყი ქართველი ერი
„ენა, მამული, სარწმუნოება“ –
ეს იყო მისთვის სულყველაფერი.
თუმცა კი ბევრჯარ დააჩოქეს, დააბეჩავეს,
მაგრამ ვერასდროს დაიმონეს ქართველი ერი
მოიგერია ყველა მზაკვარი,
შინაური თუ გარეშე მტერი,
დღეს ისევ ფეხზე წამომდგარი, მუხლგამართული
სულის მხნეობას კვლავ იბრუნებს ქართველი ერი!

შემოდგომა

დაქანცულობით გამოწვეულ
სიბერის გრძნობას
კვლავ უკუვაგდებ, ცას შევხედავ
ვფხიზლდები იმ წამს...
ო, ეს ცაც ჟამთა სიავისგან
დაღლილ ქალს მოჰგავს
დედამიწა კი ჩემს ჯინაზე
ჭრელ კაბას იცვამს.

პატრიარქი ჩვენი

სასოებით უმზერს
დღეს ქართველი ერი
გვიცავს მისი ლოცვა,
ვერ გვერევა მტერი.
სიმართლისთვის მებრძოლ
დიდ ილიას გზაზე
შემდგარა და იღვწის
იმედებით სავსე;
დღისით, რამით, დილით
ბოროტ ძალთა ქშენის
გამქარწყლებელ ლოცვით
პატრიარქი ჩვენი.
ცას ანათებს მისი
მუხლმოყრილი ლოცვა
და მშვიდდება მიწაც,
წამოდგება როცა.
წინაპართა ღვაწლის
რუდუნებით მჩენი
დაგვილოცოს ღმერთმა
პატრიარქი ჩვენი.

სიყვარულის ყვავილი

თეთრი, ნაზი, აშოლტილი,
ოდნავ ტავდადრეკილი,
შემოგხვდება, გაგიღიმებს,
გაგინათებს გულს.
ხელს გაიწვდი, გენანება
მოსაწყვეტად,
მაგრამ, მაგრამ...
სიხარული გსურს...
„ვუყვარვარ, თუ არ ვუყვარვარ,
ვუყვარვარ, თუ არ ვუყვარვარ?“
იფურცლება ნაზი კდემით მოსილი...
უყვარხარო, უყვარხარო!
ეს გვირილაც მიტომ არის
ამ ქვეყანას მოსული.

მე პოეზიამ გადამარჩინა

აციაგებულ თვალთა ფეთება
და გულუბრყვილო კისკისი ბავშვის,
უზრდელობაა ეგ სიცილიო...
რა კარგი იყო, რა კარგი მაშინ.
შემდეგ იცვალნენ გზები მრავალნი
და თან წაიღეს იმ მთების სითბო.
სულს ჩარჩა ლამაზ მოგონებადღა
მე არც ვიყავი ის ბავშვი თითქოს.
როცა ბოროტმა ძალამ იმძლავრა
და სახე თვისი წარმოაჩინა
ბევრჯერ დავკარგე იმედის სხივი
და... პოეზიამ გადამარჩინა.
როდესაც თვალზე გაკრთება რული,
ჩამომიხანჯლავს გულს ღამე თეთრი,
თავზე მადგას და კვლავ მინანავებს
მე პოეზიის უძლევი ღმერთი.

მწერალი და ისტორია

თვალსაწიერი უკიდეგანო,
დღედაღამ ფიქრი დაუდეგარი
და ... ისტორიის ვრცელ შარაგზაზე
თავდავიწყებით მიჰქრის მხედარი.
იქნებ ცოტნეა ანდა ელიზბარ,
ვინ გაყო მათი გზები სავალი,
ილტვის, რომ ბრძოლით და სისხლის თხევით
დღევანდელმა დღემ შვას მომავალი.
მიჰქრის და მიაქვს მწერლის ოცნება,
გაიმარჯვებენ დღესაც ქართველნი,
ღმერთო, შენ მიეც შემწეობა და
დაიზრდებიან კვლავაც მართვენი!

ნოდარ იაგორაშვილი

დაიბადა 1945წელს. დაამთავრა ვაჩნაძიანის საშუალო სკოლა. დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ცხოვრობს თელავში. ჰყავს მეუღლე, შვილი და სამი შვილიშვილი.

შენ დაგვიფარე დედა მარიამ

როცა სამყარომ სუნთქვა დაიწყო
და არსებობამ ფრთები გაშალა
იმ დღიდან მოდის ჩვენი არსობაც
და დღევანდლამდე ჯერ არ დამშრალა.

ჯერ არ დამშრალა მკერდში ძარღვები
ჭექავს და გრგვინავს როგორც სიათა
უფრო გალაღდა, უფრო დამშვენდა
გენი და ჯიში ქართლოსიანთა.

ჩვენ, მამაუფლის ლოცვა-კურთხევით
დაუმსხვრეველი ოქროს ლოდი ვართ
მიწა ქართული... ჯიში ქართული
პირველყოფილი დღიდან მოვდივართ.

და ეს ძირძველი ქართველთა მოდგმა
უფლის ხატის წინ მუხლთ რომ არიან
შენ გამიმრავლე, .. შენ გამიხარე..
შენ დაიფარე დედა მარიამ!

ისე ვიცხოვრე,... როგორც შემეძლო
(შვილს)

ისე ვიცხოვრე,... როგორც შემეძლო
საფიქრალს შენთვის ვტოვებ დანარჩენს,
და თუ რაიმე არ მოგეწონოს
ნუ გამომიტან ამით განჩენს.

რადგან წუთები სწრაფად მიქრიან
დღე დღეს მისდევს და წელი წელს ერთვის,
რაც მოვასწარი, ის გავაკეთე
თუმცა კი ბევრი მინდოდა შენთვის!

ჯერ ჭაბუკი ხარ, დროს ეხუმრები
თვალები ტრფობის ეშხით თვრებიან
მაგრამ ერთხელაც ჩახედავ სარკეს,
თმები რა უცებ გაგთეთრებია.

დარდი ჩამუხლავს დაღლილ თვალებში
ცრემლებით მკერდი დაგასველდება
გახედავ სადღაც გაპარულ წლებს და
ჩემი სიტყვები გაგახსენდება.

ეს შეგონება ნუ დაგაღონებს
წლების სიუხვე გეტყვის დანარჩენს
როგორც შენ მისმენ თვალცრემლიანი
ისე ვუსმენდი ადრე მამაჩემს.

ქალო... ალგეთის ხოხობო

ქალო... ალგეთის ხოხობო
ცად აფრენილო ჭალასა,
ვინ იყო შენი გამჩენი
ვინ გიმღეროდა ნანასა..
ვინ დაგიძერწა ტან-სახე
აგრე ზღაპრულად ნახატი,
ვინ მოგიქარგა ბაგეზე
ვნება- ალერსის ბარხატი.
მითხარ და წავალ, მოვძებნი,
გადავალ ცხრა ზღვა, ცხრა მთასა,
ვიპოვნი... დავეჩოქები
ვეამბორები კალთასა.
შევეხვეწები მუდარით
ვინძლო, გული არ მატკინოს,
ეგ ფრთახატული ხოხობი
ჩემს ბაღში გადმოგაფრინოს!

გულო, ნუ გამიჩერდები!

გულო, ნუ გამიჩერდები!
სანამდე თვალი ხარობდეს,
სანამ მეცა და შენაცა
ზედ მიწა დაგვეყაროდეს.
ჯერ იფუსფუსე, იშრომე
როგორც ფუტკარმა ჭალისა,
არ მეჩქარება სიკვდილი
შენ რაით მიგეჩქარისა.
არ ჩამიჩუმდე ძვირფასო,
ნუ ჩამოიშლი ქვითკირებს,
თორე თვალთჩამოღამდება,
ჩემი ცოლშვილი იტირებს.
ყოველთვის ახალგაზრდა ხარ,
არც არასოდეს ბერდები,

ჰოდა, გაკაჟდი, გამაგრდი....
გულო, ნუ გამიჩერდები!

ჩემს თელაველებს

ჩემი თელავის ყველა ქუჩას თითზე დავითვლი,
უფალმა ღმერთმა ნადიკვარზე ცრემლად დამადნოს,
შაქარყინულის ნატეხივით გულში ჩაგითლით
რომ თქვენი სითბო, სიყვარული ჩამებადაგოს.

ჩავემუხლები, დავუჩოქებ ჯვარპატიოსანს,
გული უზომო სიყვარულით ლოცვას შენატრებს,
ჩემი თელავის ყველა ვაჟკაცს და მანდილოსანს
საკუთრად თითოს, გაგინათებთ თაფლის კელაპტრებს.

მოვასწრებ, ალბათ... თვით უფალიც ამატანინებს,
სანამდის ბოლო ამოსუნთქვა გადამთელავდეს
წინანდლის ბაღში ამოვარჩევ ლამაზ ყვავილებს
რომ ფიანდაზად დაგიფინოთ ყველა თელაველს.

გიგოს გორაზე სიყვარულის ეშხით დავთვრები
და გადმოგძახებთ: - თქვენთანა ვარ, .. თქვენთვის
ვმღერივარ!
თქვენც გამიხსენეთ.. შემიყვარეთ, ... სანამ გავქრები...
ნაღდი თუ არ, .. გულთ მაინც თელაველი ვარ!

მანანა კევლიშვილი

დაიბადა 1964 წელს ქ. თელავში. 1981 წელს დაამთავრა თელავის მე-4 საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1986 წელს დაამთავრა კულტურის მეთოდისტის კვალიფიკაციით. ამავე წლებში დაამთავრა თელავის მეორე მუსიკალური ათწლედი ფორტეპიანოს სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქალაქო კულტურის სახლში მეთოდისტად, თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრში“ საბავშვო პროგრამების რედაქტორად. პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად მუშაობს ფონდ „ახალი სიცოცხლე“ - თან არსებულ შ.შ.მ პირების დღის ცენტრში სპეც.პედაგოგად.ჰყავს ერთი შვილი.

პოეზიის გზა

ეგება, ამაოდ დავადექ გრძელსა და ურთულეს გზას,
ეგება, ამაოდ შევები ამ აბობოქრებულ ზღვას,
ეგება ამაოდ ვაკვნესებ ამ ჩემს საოცნებო ქნარს,
დღეს თუ საკადრისად ვერა ვთქვი, უკეთესად ვიტყვი ხვალ.
ეგება, ამაოდ შევხარი ამ მიწასა და ცას!
არა და, რა რწმენით დავადექ მერე, და რამხელა გზას!...

ვინა ვარ

ვინა ვარ და , მეოცნებე ქართველი ვარ,
კახი ვარ და სულ უბრალო ნათელი ვარ,
მშვიდობის და სიყვარულის მნატვრელი ვარ,
გრემისა და ალავერდის სანთელი ვარ!
ვინა ვარ და ბევრი ავის მნახველი ვარ,

საკაძეს ძლიერი ხმლის ნატეხი ვარ,
ჩემი ერის უკვდავების მნატვრელი ვარ,
ქართველი ვარ, სულ უბრალო ქართველი ვარ!

თელავის ჭადარს

ზეცისკენ ტოტებაწვდილი
დგას ჭადარი და იცდის
ოდესმე მოვა სიკვდილი,
უთუოდ მოვა, იცის,
ეს ცხოვრება კი თავის გზით
მიდის, მიდის და მიდის...
მოეძალება ცრემლები,
სიყვარულისგან იწვის,
სევდის მეგობარს მოუხმობს,
წვიმას და მასთან ტირის...
ხანდისხან აშრიალდება,
ნისლის საბურველს იხდის,
ეს ცხოვრება კი თავის გზით
მიდის, მიდის და მიდის...

თეთრი სიჩუმე

დიდი ხანია მაწვალებს ტილო
დაუხატავი თეთრი პეპლებით...
თეთრ სიჩუმეში სული სავსეა
უკვე დაღლილი უხმო ვედრებით!..
გარეთ თოვს, სულში თეთრი პეპლები
თეთრად მითევენ ღამეს,
რა იქნებოდა მოხვიდოდეთ და
დამიხატავდეთ რამეს,
მერე გავატან სიცივეს ჩემსას
ისეც გაყინულ ზამთარს
და გაზაფხული თბილი ხელებით
ჩამაცმევს ჩითის კაბას.

მომიყვებიან ყოჩივარდები
უმშვენიერეს ამბავს...
თქვენ კი, მიყვებით უკვე მოსაწყენ
დაუმთავრებელ ზღაპარს...
გარეთ თოვს, სულში თეთრი პეპლები
თეთრად მითევენ ღამეს,
რა იქნებოდა მოხვიდოდეთ და
დამიხატავდეთ რამეს.

ჩემი გაზაფხული

სულში შემოიჭრა გაზაფხული
გარეთ გამომაგდო თავნებამ,
უზომო სიხარულით ამავსო,
თუ რამ დარდი ჰქონდა, განდევნა...
თვალებით ყვავილებს ვეფერები,
ვატყობ, სულიერად ვმაღლდები,
ლურჯთვალა იები მაგიჟებენ
სულ გადამავიწყეს დარდები...
ბუნების წიაღში ისე შევიჭერი
თითქოს ყველა მის ძარღვს შევუერთდი
ირგვლივ იმდენი ახალი შევნიშნე,
ვიდექ და ცეტივით შევყურებდი!...

დასასრული

აპრილის თვესავით ავფეთქდები
ჩანჩქერად ვიქცევი ნაკადული,
სანთელი კოცონად დავენთები,
მცირე ხნით გრემში და ანანურში,
ოცნებას ვუხმობ და გავექცევი
დარდს დღემდე მისგან დაღალული,
ასე ერთიანად დავიცლები
თქვენივე ნაპოვნი და დაკარგული.

თამარ კოლელიშვილი

დაიბადა 1956 წლის 25 მაისს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში. 1980 წელს დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ცხოვრობს თელავში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ლექსების წერა დაიწყო ბავშვობის ასაკში. მისი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

სამადლობელი

რა დრო გასულა... ბევრი რამე მსურდა მომესწრო,
ფოთოლცვენაა, შემეპარა თმაში ჭაღარა,
ჩემს ფანჯარასთან ჭრიჭინების უკრავს ორკესტრი
და დირიჟორობს მილეული მთვარე ნამგალა...
დროა ირწმუნო და არასდროს აღარ მოიწყენ,
თორემ გიჟმაჟი ქარი სადღაც გაგინაპირებს,
„შეჩერდი წამო“ - უკვდავების ქარგა მოისხი,
მადლობა, უფლის რწმენა რადგან გამითავისე....

პოეტი

მთელი საღამო ვწერდი და ვშლიდი...
ქარი დაჰქროდა ჩემს სახლთან ახლოს,
პოეტს მუდამ აქვს რაღაცის რიდი,
პოეტი სულ სხვა სივრცეში სახლობს...
შეუცნობელის შეცნობის ჟინით
შეატორტმანებს ღვთიური გზნება,
მთებს დასძრავს, როგორც ზღაპრული ჯინი,
უჩუმრად, უხმოდ ჩაიფერფლება.
კარგია, როცა იცი ამ ქვეყნად
ათი ათასი პოეტი დადის,

ზეცა გვახურავს ჩვენ ყველას ერთი,
ჩვენ გვაქვს საერთო ფიქრი და დარდი -
ღმერთია ჩვენი მფარველი, შემწე,
ვგრძნობ, ანგელოზი ფოფინობს მხრებთან,
გავარღვევთ ბურუსს, სიკეთით შევძლებთ,
გვსურს, პირნათელი მივიდეთ ღმერთთან.

სადღაც, ზღვარს იქით...

ვით მოტორტმანე ნავი ზღვაში, - სულიც ასეა,
ბორგავს სხეულში, ვერ ისვენებს, იწვის, ინთება,
სადღაც, ზღვარს იქით სიმშვიდე და სისპეტაკეა,
მისკენ მიმავალ ბილიკს ჰქვია - ჭეშმარიტება....
ძლიერ ვეწამეთ, მტრულად მოსულს ყველას მიეზღო,
ცა ბევრჯერ იყო საავდაროდ ჩამოგრაგნილი
და გვიფარავდა მაცხოვარი, ღვთის ძე, - იესო,
დედამიწაზე კაცთა მხსნელად გამოგზავნილი...
როგორ დავეშვით.. ვცდილობთ მხოლოდ თავის გატანას,
ვამბობთ, მერე რა, ... ყველაფერი მისაღებია
და უნებური შეცდომაც კი, თუნდაც პატარა,
დიდი ცოდვების აღზევების გასაღებია...
მერე თითქოსდა ვიბადებით ისევ თავიდან,
გული იმედით, სინანულით, რწმენით სავსეა,
ღმერთო მაღალო!, კიდევ მრავალ ტკივილს ავიტან,
ოღონდ მაჩვენე მხარე, სადაც სისპეტაკეა...

ტკივილს ჩავიკლავ...

ზოგჯერ დღეები უსასტიკესს ჰგვანან ჯალათებს,
მიგვაქანებენ საბოლოო ბედისწერამდე,
სევდის აჩრდილი სასთუმალთან მოიკალათებს
რა შორი გზაა, ოჰ, ძვირფასო, ახლა შენამდე!
გადაკარგულა იმედებით სავსე ზმანება
და ჩემი სული ახალ-ახალ ტკივილს იმატებს,
გავა წლები და მერე ვიცი, დაგენანება

შენ ჩემთვის ნებით გაღებული მთელი სინაზე.
ჩემში რაც იყო უსასოო, ახლა გამქრალა
და თუ ნუკრივით უბედობაც გულს დამისერავს ტკივილს
ჩავიკლავ, თვით ტკივილი..და ცრემლგამშრალი,
ქარს მივენდობი ლერწამივით ნირშეუცვლელად...

იყალთო

შენმა ბაღმა გამახსენა იყალთო და ბროწეული,
ტანღვარღვარა ლამაზ ხეზე ძრომიალი, კონწეული,
ბაღის გასწვრივ, ნუშის ხესთან ყორე ერთგან მონგრეული,
მამაჩემის დაჩეხილი შეშა, სათრით მოთრეული,
გულის, თვალის გასახარი, ათასგვარი ბოსტნეული,
ყვავილების ლამაზ კვლებთან, კრაზანები მოსეული.
ბლის მსხვილ ტოტთან, ვით დარაჯი, ძველი კიბე
მორყეული,
ცერის სიმსხო ხარითუთა, ცვრიან მოლზე მობნეული...
ბაღში სუფრა, სუფრა ჭრელი, როგორც ლალი-ძოწეული
და სისხლსავსე პამიდორი, დედის ხელით მოწეული,
სუფრა სავსე ტკბილეულით, ათასგვარი ხონჩეულით,
დიდი თეფშით ხაჭაპური, მეზობლისგან მორთმეული
და შემწვარი გოჭი ლანგრით, ბლომად ქონ-ცხიმ-
მოდებული,
ალაკრული ნაზუქები, ტკბილი, როგორც გოლეული...
მარნის ბოლოს, ერთ კუთხეში, გოდრით სავსე
ხორბლეული,
მაღლა ყურძნის ჯაგნები ჩანს, დედის ხელით
მომცვრეული,
ჩემს ოთახში, თაროებზე ვაჟას სქელი ტომეული,
ვხედავ, თითქოს დაფუსფუსებს, ბებოჩემი, ცხონებული,
სად წასულან ის დღეები, რად გამხდარან შორეული,
მენატრება ჩემ-ტოლები, ის ორღობე მოლეული,
გამრჯე გლეხის ეზო-კარში, ხელადა და თონეული,
ბარაქიან ტიკჭორაში ქინძმარაულ-მორეული...
...ახლა ვხვდები, რატომ არის ასე ტკბილი, შორეული,
ჩემი სახლი და ბავშვობა, სადღაც თვლემამორეული...

მარიამ კოზმანიშვილი

დაიბადა 1959 წლის 30 აპრილს თელავის რაიონის სოფელ კისისხევში. 1978წელს შექმნა ოჯახი, შეეძინა სამი შვილი. 1987წელს სწავლა განაგრძო თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ადრეულ ბავშვობაშივე იბეჭდებოდა მისი ლექსები იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.2007 წ. მოულოდნელად აღმოაჩინა ქვა, როგორც ხელოვნების ნიმუში. დაიწყო მათი შეგროვება და სუვენირების დამზადება. ჰქონდა ორი პერსონალური გამოფენა ქალაქ თელავში. ასევე, პოეზიის საღამოები - სამების ახალგაზრდულ ცენტრში და მწერალთა სახლში. არის ორი პოეტური კრებულის ავტორი. ჰყავს მეუღლე, 4 შვილი და 5 შვილიშვილი.

ზამთარი

ნისლი ჩაწოლილა ხეობაში,
ახლა რა თქმა უნდა, გათოვდება...
ვიღაც იზეიმებს ძეობაში,
ვიღაც უსათუოდ გათხოვდება.
ფიფქი აცეკვდება ფანჯარასთან,
ფიფქებს ზეცის სუნი ჩამოჰყვება...
კარგი იქნებოდა ამ თოვაში
ვინმე ღვთისნიერთან დამოყვრება.
ვდგავარ ხელგაწვდილი აივანზე,
მხრები სიცივისგან მეღუნება...
ხელზე დაბნეული ნამცეცები
ფრთხილად ამიკენკეს ბეღურებმა.

ისევ სანამქერე ამინდია,
ნისლი იზრდება და იბერება.
მინდა მოილხინონ მეზობლებმა,
სივრცე გაახურონ სიმღერებმა!..
გიხმობ ჩემი კოშკის აივნიდან,
ნისლის ნაცრისფერო ბალდახინო,
იქნებ გამაქროლო გაზაფხულთან,
მერე ყვავილებით გამახილო!

***

გესმის? მთვარე ღიღინებს
ტკბილ სევდიან ჰანგებს...
ვიღაც დადის ფანჯრებთან,
სიზმრის კოშკებს აგებს.
გესმის? -ხმა აქვს დუმილსაც,
ვიღაც ჰყვება ზღაპრებს...
ცა მუქია დილამდე, სანამ აილამპრებს...
უსასრულო სამყაროს უუმცირეს ნაწილს
ქარი აგაფარფატებს და ლოცვებად გაგცრის.

***

მზით ივსება სამყარო,
როგორც ფიჭა - თაფლით,
მიცურავენ დღეები
ლილისფერი აფრით.
ივანცხნიან ტყეები
მოშრიალე თმებს და
ცეტი ჟამთაღმწერელი,
ქარი დაქრის მთებთან
ხატავს ხელი, უფლისა,
ალაზანს თუ გომბორს,
მზეს უგზავნის საჩუქრად,
მშიერს, ქვრივს და ობოლს.
მიცურავენ დღეები
ლილისფერი აფრით...

შემოვრჩებით მომავალს,
გულუბრყვილო ზღაპრით.

ნოემბრის მზეს

რა საყვარლად დაბაჩუნობ მზეო,
ხელებს გიწვდი, მოგეფერო მინდა.
მე ამ ლექსში გულის ნაწილს ჩავდებ,
შენ მაჩუქე სხივი ერთი ციდა.
სულ ცოტახნით დათმე ზეცის თაღი,
წამო, სადმე ვიტანტალოთ ერთად,
შევინახოთ სულის სკივრში სიტკბო,
შემოდგომის ჭრელა-ჭრელა ფერთა.
წამო, ერთად გავეკიდოთ ჩიტებს,
სანამ თოვლი აცეკვდება კართან...
ვდგავარ შენსკენ აღერილი ყელით,
გულისგულში სიტყვებს ლექსად ვართავ.

***

იცი? - გიკვდები, ჩუმად, როგორც კვდება ბეღურა...
უსაყვედუროდ, მაგრამ არა უსინანულოდ....
მალულად ვქრები, როგორც ნისლი, ალიონისას,
ფიქრში კი ისევ ძველებურად გესათუთები...
იცი? - გიკვდები.

✝✝✝

ნინო კორძაია

დაიბადა 1971 წლის 29 აგვისტოს. 1987წელს დაამთავრა თელავის მე-3 საშუალო სკოლა. 1994 წელს - თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თელავის მე-3, მე-4 და ეროვნულ სკოლებში პედაგოგად. ამჟამად მუშაობს ქ. თელავის ფონდი - „ახალი სიცოცხლე - სთან არსებულ დღის ცენტრში - შ.შ.მ. ბავშვებთან სპეც. პედაგოგად. ლექსების წერა დაიწყო ბავშვობიდან.

დრო

ისე უცნაურად ჩამოთოვა,
ისე უცაბედად დაიფერფლა,
თოვლის თეთრი ფთილა
თეთრ ფანტელებად,
გადმომეყარა, გადმომეფინა.
ვერც კი შევიგრძენი
დროის ასე ბრუნვა.
ზამთარი ხელს რომ უკვე მიქნევდა.
როგორ მინდოდა შენთვის მომეძღვნა,
ვერ მოვასწარი, ისე გაზაფხულდა.
თოვლის თეთრი ფთილა
თეთრ ფანტელებად,
ისე მიილია, უკვე გაზაფხულდა.

***

ტირის ქალი
სიძლიერე მასშიც არის,
თვალზე ცრემლი არ ემჩნევა,
კივის ქარი.

ნამქერს მიაქვს იდუმალი
ფიქრის ალი,
აქ მთავრდება და სასტიკად ეღიმება,
დამჩნევია დროის კვალი,
ნაზი, მაგრამ საოცარი.
ავარდება და იფეთქებს
ცეცხლის ალი.
ნამქერს მიაქვს მისი სული
და სინაზე გულსაკლავი.

***

რაღაც იდუმალი შემომჩვევია
და მე ვწერ, მაგრამ, დრო დამელია,
ფიქრმა დამათოვა
წვიმამ დამასველა,
და მე არ ვიცი, ვისთან ვმღერივარ,
რაღაც ღელვასავით შემომჩვევია
სული კლდესავით გამმაგრებია,
ძარღვებში სისხლი გრძნობით მდენია,
უფრო აზრზე ვარ, ნდობით სავსე ვარ,
მე ყველა მიყვარს, ვისაც ღიმილი უჩუქებია.
რაღაც იდუმალი შემომჩვევია.

ნანა მანიჟაშვილი

დაიბადა 1962 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში.1985 წელს დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა სოფელ ჭანდრის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამჟამად მუშაობს თელავის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელად. მისი ლექსები პერიოდულ პრესაში ქვეყნდება 1983 წლიდან. „სოფლის ცხოვრება“, „ალაზნის განთიადი“, „მუზა“. ლექსები შესულია კერბულში „ირმების გადმოსახედი“.

პატარა გოგო ყიდდა იებს

პატარა გოგო ყიდდა იებს
და თვალში კრთოდა სევდა,
მის უკან იდგა მწარე სიცივე
ტკივილებს ჩუმად ხევდა.
პატარა გოგო ყიდდა იებს
დედის თვალების ფერთა,
ქუჩა სიჩუმის ფარდასა ქსოვდა
გზას მოლოდინი ედგა.

***

წყენა თუ დამრჩა მოყვასის
დარდი თუ დამრჩა ძმის,
ადიდებული იორი
თუ ვერ გამიგებს ფიქრს,
თუ სიყვარულის ფერები
არ მომიქარგავს მძივს,

რიჟრაჟებს ავედევნები
ღამეს დავუფრთხობ ძილს
და თეთრად გადანათენებ
დღეს გავიმძღვარებ წინ.
ვივლი და არ დავიღლები,
არც სხვას დავუდებ წილს,
გულს გავშლი სასიყვარულოდ,
მტერსაც ჩავიტევ შიგ.

ოთხი დრო

ჯერ გაზაფხულად ამაყვავილა,
მერე ზაფხული მომგვარა მწველი,
წამოუბერა ქარმა ნოემბრის
და შემოდგომის წაიღო მტვერი.
ზამთარმა ფიფქის ფთილა-ფთილებით
შემომაყარა მორთული ფერი;
ახლა მოწყენილ ბეღურასავით
ისევ გაზაფხულს ველი.

ველი

მიუსაფარის გოდება ჩუმი დრო ჩემი ფერი,
სხვა არაფერი. შენს კართან ვდგავარ,
შეხვედრის ლოდინს ველი და ველი.
მოცლილი ქარი დახეტიალობს
ჩუმად ირწევა შროშანის ველი.

შვილს, ქეთევანს

ო, როგორ მსურდა მემღერა შენთვის
და მზის სხივები ჩამეწნა თმებში,
როცა პატარა იყავი კარგო
და არა მღლიდა ტიტინი შენი.
ვერ მოვასწარი, დრო შეუმჩნევლად
და სიზმარივით გაქრა, გაფრინდა,
ახლა დიდი ხარ და მოფერება
თითქოს გინდა და თითქოს არ გინდა.

ნანა მარღიშვილი

დაიბადა 1968 წლის 13 იანვარს ქ. თელავში. ჰყავს ქალ-ვაჟი. პროფესიით არის ექიმი-სტომატოლოგი და ....

„ვიცი რომ არ ვარ პოეტი,
არც გვირგვინს ვითხოვ
დაფნისას, ღმერთო, მაცოცხლე
იმედად
ჩემი ლამაზი ხალხისა“

გაზაფხული მოდის

ცერებზე შემდგარა მარტი და კაპასობს
ცას სურს, რომ მოსთხოვოს ღიმილი მზისფერი.
სითბო მოენატრათ გაბერილ კვირტებს და
ლამის გადმოსკდნენ და დაგლიჯონ ტოტები.

მე ყველა მიყვარს

ვიღაცას იქნებ ვგონივარ გიჟი,
რომ უპირობოდ მიყვარს სამყარო,
როცა მახარებს თვალებში სხივი,
მაგრამ ჩამქრალი თვალები მაკრთობს.
ვიღაც ხომ ფიქრობს დაბერდით უკვე,
მაგრამ ჩემს გულში გაზაფხულია,
მიხარია, რომ მიღიმის ვინმე
და ეს ღიმილი ვარდისფერია.

მე ყველა მიყვარს ნაღდი, ნამდვილი,
ადამიანი თხემით - ტერფამდე,
აიციაგეთ სულში აპრილი
დაზამთრებიდან დაზამთრებამდე.

ამ თვალებს რა ვუყო

ავად ირევიან ღრუბლები,
ალუბლებს შეშლილი ქარი წეწს,
ბაგე გაუხსნია ხილიანს,
თან უხვად არიგებს იმედებს.
„მთვრალი“ დავბანცალებ ქუჩებში,
გზა-გზა ფთილებს ვითვლი საავდროს,
იცი? შენთან მოსვლა მომინდა,
ამ თვალებს რა ვუყო დანათრობს?

დამაგვიანდა?!

დამაგვიანდა, ვიცი, ნამდვილად,
მაგრამ ყოველთვის მინდოდა მეთქვა,
თუ შემოდგომის ამ სევდიან, ოქროსფერ მოლზე
სულს როგორ წეწავს ფერმიხდილი ბებერი ვნება.
როცა მოდიხარ, მინათდება სულის კუნჭული,
მიდიხარ, - ბნელი ისადგურებს გულში მალულად,
მგონია, თითქოს რომ ყველა გზა სულ შენსკენ
მოდის,
ამავდროულად ყველა კარი დაგმანულია!
დამაგვიანდა, თუ
... ისევ ... ისევ განათდება სამყარო ჩემთვის?!

ჩემს საყვარელ დედას

(დედას, რომელიც 19 წელია საბერძნეთში ცხოვრობს და შრომობს და, ყველა იმ დედას, ვისაც შორს გადახვეწილებს აკლით ოჯახის სითბო, სიყვარული და სიმყუდროვე.)

არ მსურს, რომ დამთავრდეს ბავშვობა,
თვალებში ღიმილი ჩაგიქრეს,
ქარხვეტა ღრუბლების ანცობამ
გულგრილად დაგტოვოს ნაწვიმზე.

ჭალაში ქარები დაფეთდნენ,
სული ყეფს მშიერი მგელივით,
წვიმა ცრის, ნისლმა მთლად დაგფარა,
შენ ჩვენ გვეფერები ტკივილით.

მოგწყურდა მუზების სიშიშვლე,
თვალებანთებული პოეტი,
სიზმრებშიც მომავალს მიხატავ,
ღამეს შეერევი ღიმილით.

მაგრამ დროს ვერაფერს ვერ შველი,
გჯაბნის და გაჩოქებს ხანდახან,
ნაზამთრალ ფიქრივით დამღლელი
წლები გემატება თვალდათვალ.

ჭალაში ღრუბლები აცეკვდნენ,
წვიმა სცრის, იმედს კვლავ მიცოცხლებ,
ზვარაკად თუ შემოგვაწირავ
შენს ხარკად გაღებულ სიცოცხლეს!

მთებმა მაჯობეს

დამდგარა მარტი, სურნელი მათრობს
და ოცნებების ზღვაში ჩამძირავს,
შემომანათებს სახეს აპრილი,
გამომაფხიზლებს მაისის სუნთქვა,
აყირავდება ცაში ტოროლა,
მზე ცის გუმბათზე კოცონს დაანთებს,
გამომაყოლებს მზერას თილისმად,
შეყვარებული თვალები გზაზე.
ღიმილიანი მივყვები ქუჩას,
მეც გახელება მსურს გაზაფხულის,
მთებმა მაჯობეს ახლა ნამდვილად,
პირი-სახეზე გადაუსვამთ ფერუმარილი.

ციცინო მარკოზაშვილი

დაიბადა თელავში 1947 წლის 19 ოქტომბერს. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს კლასის პედაგოგად სადაც დღემდე მუშაობს. წერს ლექსებს, ეწევა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს წერილები და პოეტური თარგმანები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ექვთიმე თაყაიშვილს

(ექვთიმე ღვთისკაცს)

წმინდა ექვთიმევ, ქართულო სულო,
განგების ნებით ზეცად ასულო.

შენი ნაღვაწის შუქით მოსილო,
სამშობლოს სევდით გულგასერილო.

გუშაგად ედექ სხვაგან საგანძურს,
მგზნებარე გულით შენგან ჩარაზულს.

მსურველი მისი რომ მოდიოდა
გაწბილებული უკუდიოდა.

მტკიცე იყავი, ვითარცა რვალი,
ციხე-კოშკივით კარშეუვალი.

არ მიაკარე არვინ საუნჯეს,
სხვის მიწა-წყალზე არ დააუნჯე.

ოცნებად აჩნდა შენს რუდუნებას
ერის სიმდიდრის შინ დაბრუნება.

მხოლოდ ღრმად მოხუცს აგიხდა ნატვრა,
განძი სამშობლოს საზღვრებს მოადგა.

წინ მოუძღოდი ბრძოლით მოღლილი
გამარჯვებული და ვალმოხდილი.

როს, თვალი ჰკიდე თბილისს, მთაწმინდას
თვალთ, მონატრების ცრემლი გაწვიმდა.

ერში დაფასდა შენი ამაგი
წმინდა მთას ჰპოვე ძვალთშესალაგი.

როს, ჩამოისმა ზარის ხმა ციდან
ზეცად ახვედი ექვთიმე წმინდა.

გვჯერა , წმინდანო, მამულს საფიცარს
შეჭირვების ჟამს კვლავაც დაიცავ.

ალბათ, ზეცაშიც ზრუნავ იმაზე
მეოხად გვყავდე ღვთისა წინაშე.

თოვლი

თოვს, ძალიან თოვს, ჩემი ფანჯრიდან
გულგრილად ვუცქერ ფიფქების როკვას,
ცხოვრების გზაზე როგორ დაბინდდა,
თოვლის ნახვაზე ნერვიც არ ტოკავს.

თეთრი სუმბულის ნაზ სიმსუბუქით,
ედება თოვლი გაწოლილ ბექობს,

რა კონრტასტია - ეს თეთრი შუქი
და - ის წყვდიადი, სულში რომ მეფობს.

თოვლი რბილი და თოვლი ფაფუკი:
რა არის ჩემთვის? - მხოლოდ სისველე...
გულიდან სითბო წავიდა თუ კი, -
სულსა სცივა და ვეღარ ისვენებს?...

ვიცი, გადივლის ეს დიდთოვლობა,
მზე გადაფარავს თოვლიან დარებს,
დათბება, თოვლი დაიწყებს დნობას,
ჩემთვის კი მაინც არ გაიდარებს.

ძველი ტანგო

ტანგო, ის ძველი ტანგო,
გახსოვს? თავს სთვლიდი ღმერთად...
სიზმარში გხედავ კარგო,
თითქოს კვლავ ვცეკვავთ ერთად.
გაჰქრა ის გაზაფხული,
ის ყვავილობა ხეთა,
გრძნობა, აწ მინავლული
თავს რად მახსენებს, ნეტა?
ტანგო, ის ძველი ტანგო
ხმამაღლა ფიქრს, რომ ვბედავ?
ისევ მიყვარხარ, კარგო
ისევ სიზმარში გხედავ.

ამური ნისლებში

სულ მაღლა ზეცა, ზეცამდე მთები,
დაგუბებული, თეთრი ნისლებით,
ნისლში დავლანდე ამური ფრთებით,
ხუჭუჭა თმებით, ოქროს ისრებით.
უეცრად მკერდში ტკივილი ვიგრძენ,

ნუთუ ამურმა მტყორცნა ისარი?
ვხედავ, ნისლიდან ვიღაცა მიმზერს,
ნუთუ ის არი... ჰოო... ის არი...
გონება ღელავს, გული ძაგძაგებს,
სული ვეღარ სძლებს დონდლო სხეულში,
ვგრძნობ, როგორ ვიხსნი მძიმე არტახებს
და მივქრი ზემოთ, იქ, - შორეულში...

ბეთხოვენის მე-9 სიმფონია

შეჩერდით! - გეყოთ, ეგ ირონია,
გულს ნუღარ ივსებთ ბოღმით და შხამით,
კოსმიურ ხმათა ამ სიმფონიას
ყური მიუგდეთ სულ ერთი წამით.
ეს მელოდია, ეს ჰარმონია,
შობილი ციურ არემარეში...
ო. როგორ სცდება - ვისაც ჰგონია,
რომ იარსებებს ღმერთის გარეშე!!!

თინათინ მრელაშვილი

დაიბადა ქ. თელავში. 1968 წელს დაამთავრა თელავის მე-3 საშუალო სკოლა. 1975 წელს - დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

წიგნად აქვს გამოცემული გენიალური ფრანგი მეზრაპრის - შერლ პეროს „წითელქუდას“ პოეტური თარგმანი. სხვადასხვა დროს ლექსები აქვს გამოქვეყნებული „საქართველოს ბუნებაში“, „ოლეში“, „ლიტერატურულ საქართველოში“.

არის მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ წევრი და გამგეობის წევრი, საქათველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წევრი.

სამშობლოს

ჩემი ოცნება შენ გეკუთვნის,
ჩემო ქვეყანავ,
ჩემი ლექსებიც. რამეს - ახალს -
გეტყვი მე, განა?...
მაგრამ.. შენს მთა-ველს
თვალს ვეღარ ვწყვეტ,
ვუმზერ, ერთთავად,
ეგ სილამაზე ზიარია ...
თვითონ მზესთანაც..
შენს მთებს ვუმღერი და შენს ზეცას,
სამშობლო მხარევ,
შენი უზადო სილამაზით
გულს რომ მიხარებ,

შენით თენდება, მზით ნაქარგი,
დილა - ცისმარე
და..მაგ მშვენების სიყვარული
მე ვერ ვიკმარე...

უკვდავს ხდის მამულს

ჩემი სამშობლოს სილამაზეს
სიტურფე შვენის,
თვით ბუნებაა, ამ უბადლო
მხარის მძერწველი,
საფიცარია საქართველო ყველა ქართველის,
უკვდავს ხდის მამულს
სიყვარულის გულის მზე-, მწველი...

თელავს

მთები თოვლით მოსირმული,
მზის სხივებით ბრწყინავს, ელავს
და იხუტებს სიყვარულით,
ერეკლეს ხმლით ნაკურთხ თელავს..,
წარსულ დღეთა სიდიადით
ის ხომ დღესაც ხიბლავს ყველას,
ფიქრებს ანდობს გულზვიადი -
ლამაზ, ფერად ცისარტყელას...
ჩვენს ბრძენ მეფეს, - პატარა კახს,
სიტყვა ხმლით და საქმით უთქვამს
და შესწირა ქართულ მიწას:
ფიქრიც, სულიც, გულიც, სუნთქვაც...

მომნატრებია...

მომნატრებია , ძვირფასო
შენი სითბო და ალერსი,
ჩემთვის: დღეც, წუთიც, ის ფასობს -
ტრფობით რომ მიმზერ თვალებში...

მომმზევებია, მომფერებია...

მომმზევებია, მომფერებია...მომნატრებია..
ვჭვრეტ რიჟრაჟს ცისას, ათინათებს სხივთვალებიანს,
მთათა ფერდობნი მზის ბრწყინვა-შუქით რომ
ნათდებიან
და კლდით ნაჟური ბროლ-ცვარ-ნამით
ინათლებიან...

სურათი

მწვერვალზე თოვლი ქათქათებს,
სხივი უქარგავს მთებს კალთებს,
ველი ზურმუხტით ხასხასებს -
და მზე კი, ტრფობის ცეცხლს ანთებს...

&&&

გიგა მჭედლიშვილი

დაიბადა 1979 წლის 22 დეკემბერს ქალაქ თელავში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის 99-ე საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის მე-3 სამედიცინო კოლეჯში, რომელიც 1999წელს დაამთავრა. მისი შემოქმედება პერიოდულად იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში“. პოეზიასთან ერთად, გატაცებული იყო ფერწერით, საკუთარი, განსაკუთრებული ხედვა ჰქონდა.

გარდაიცვალა 2008 წლის 16 დეკემბერს.

ჩემი პატარა თელავი

ჩემი პატარა თელავი მიყვარს და გამიხარიან
და ჩემს ეზოში ფუსფუსი მეხალისება ძალიან,
დილის სურნელი დამატკბობს
ირგვლივ კვამლით და შორს ნისლით,
ჩემი პატარა ქალაქი მინდა აღვწერო ამ მიზნით...
აშრიალდება კვლავ შენს ქუჩაზე ტირიფები და
ბრძენი ჭადარი.
ამ ქვეყნად, მგონი, შენზე ლამაზი, არ მეგულება შენი
ბადალი,
გამოზაფხულზე აყვავდება თელავში ნუში,
მოხუც ჭადრსაც გაეღიმება თავისთვის გულში,
ააჭრიალებს გამხმარ ტოტებს საღამოს ბინდზე,
ძველი მეთევზე ბადეს ისვრის ალაზნის ხიდზე,
ჩემი პატარა თელავი მიყვარს და გამიხარიან
და ჩემს ეზოში ფუსფუსი მეხალისება ძალიან.

***

ახალ წლის ღამეს ვავსებ ფიალას
და მერე ვფიქრობ, ხომ გამიარა,
ხომ გამიარა მე შენზე ფიქრმა,
უეცრად ქუჩა დაფარა ნისლმა.
ავივლი აღმართს, აღმართი გრძელი,
აღმართი ბნელი, ნაბიჯი ნელი,
ვიღაცას ველი რაღაცას ველი
და ამის შემდეგ ვბრუნდები სხლში,
ნელი ნაბიჯით შევდივარ კარში,
შევსვამ ფიალას და ვიტყვი ამას -
ამ ქვეყნად გიძღვნი ყველაფერს ლამაზს.
კვლავ სასმისს ვავსებ ფრთხილად და ნელა
შორს კვამლი მოჩანს, ირგვლივ კი ბნელა.
და ისევ ვფიქრობ, ხომ გამიარა,
ხომ გამიარა მე შენზე ფიქრმა,
ისევ მოიცვა კახეთი ნისლმა.
ღამით თელავში ითოვებს თეთრად
ჩვენ კი არასდროს ვიქნებით ერთად.

***

დილით ხედიდან გადავხედავ ალაზნის ველებს,
გაოცებისას ვერას ვიტყვი და გავშლი ხელებს,
რა ლამაზი ხარ, დალოცვილო კახეთის გულო,
შენი მთებით და შენი ბარით აყვავებულო.
კავკასიონის მაღალო წვერო,
ზამთრის სიმკაცრევ და სუსხის ფერო,
შენ რომ კარიბჭე დაგინახა პირველმა მტერმა,
შემოგიტია, აგაოხრა, გატირა ბევრმა,
მას აქეთ შენი კალთები ტირის
როდესაც თბება და ყინვა მიდის.

***

როცა იმგვარად გადის დღეები
ვერაფერს ვერ ვწერ, ვერაფერს ვხატავ,
ვსევდიანდები და მეჩვენება
სიცოცხლეს სურდა ფულივით ფანტვა,
მაგრამ, როდესაც იგრძნობს სხეული
ლექსის და ცეცხლის გათამამებას,
ვიზრდები. უცებ ვგოლიათდები,
სხვა ყველაფერი პატარავდება,
გავფუფუნდები, დავიმუხტები
და თუ ქვეყანა არ გადაგვარდა,
იმავ წუთს ჩემთვის აღარაფერი
აღარაფერი ლექსების გარდა.
ვისაც არაფრად არ უღირს ლექსი
რომანტიკა და ჩემი თაობა
რა საცოდავი მგონია იგი
საცოდავი და არარაობა,
ოცნება, ჟრჟოლა, წვა და ხალისი,
ყველაფერი ხომ ლექსით იწყება
ლექსია რაც კი გაგვიხარდება,
სიყვარულიც და თავდავიწყებაც.
ლექსია, ამ წუთს რაც მემატება
ჩემს სულში ცეცხლად გამოხვეული,
მიიღე იგი, რადგანაც ლექსით
ანთებულია ჩემი სხეული.

უცნობს

ეკლიან აღმართს მიჰყვება ქალი,
ძონძებში ჩაცმულს უბერავს ქარი...
გაშლილი თმები, სახეზე ცრემლი
შორი გზის გავლა მოუწევს ბევრი
მიუსვლელ ადგილს...
გზად ტანჯვა მისდევს,
რადგან სავალი ეკლიანია,
არეულ ქარში პირსახე მისი
დაკაწრული და სევდიანია,
ნეტავ რა ტანჯავს უბედურს ასე?
რა ცოდვა მიაქვს გოლგოთის გზაზე?
შეჩერდა უცებ, ჩამოჯდა ქვაზე...
ისევ ყოყმანობს წარსულის თქმაზე.
რა აქვს სათქმელი? ან ელის ვინმეს
იდუმალებით მოცული ქალი?
...და მყუდროებას მის ირგვლივ მარტო
არღვევს და შფოტავს ძლიერი ქარი...
წამოდგა, ისევ გაუყვა აღმართს,
მაგრამ ნათელი შორს არის ისევ,
რადგან ცხოვრება საოცარია..
ერთ დროს მის ბედსაც არ ყეფდა ძაღლი,
ახლა კი ტანჯვას განიცდის ქალი..
გზას ვეღარ იკვლევს, ხელს უშლის ქარი...
ღმერთო, შეუნდე! ნათელით შენით
ამ გზას მიეცი ვარდების ფერი....
მაგრამ ამაოდ!!!
ეკლიან აღმართს მიუყვებოდა
ერთ დროს მდიდარი, ამაყი ქალი.

✝✝✝

ლერი ნოზაძე

დაიბადა 1955 წლის 9 თებერვალს. 1972 წელს დაამთავრა ხაშურის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა აგრარულ უნივერსიტეტში, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „ეგრისში“, ეკონომიკისა და სამართლის ქართულ-ბრიტანულ და სხვა უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ „გორგასალის“ ასოცირებული პროფესორია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ათი პოეტური კრებულის და რამდენიმე ბიოგრაფიული ესსეს ავტორია.

გამოსავალი განა არა ჩანს?

წარღვნის დროსაც კი ვიღაც გადარჩა
და არც გვალვის დროს წახდა ყოველი.
ჩვენ მოვიშუშებთ ბევრ მკაცრ განაჩენს
და შევიქმნებით ყოვლის მპოვნელი.
ღრუბლები კვლავაც გადაიყრება -
მგონი, მათაც სწყინთ არად ჩაგდება!
კაცობრიობა თვის გეზს მიჰყვება -
ომს რომ აცხადებს ამპარტავნებთან.
უსასრულოა ასეთი ფიქრი.
კეთილმზრახველნი გზას მოძებნიან.
დადგება ჟამი ახალი მირქმის
(ეს ჯვარცმის არა - სხვა ბოძებია!)

სამსხვერპლოდ ისევ თავს გავიმეტებ!
ერთმანეთისა ჩვენ უფრო გვესმის.
ვგრძნობ, ამ მძიმე ჯვარს როგორ მიველტვი,
როს წამადგება თავს „ვინმე მესხი!“
ის, რაც მიაჩნდათ უკიდეგანოდ,
დღეს დაიტია აქ ფრაზამ მომცრომ.
მე ვაათმაგებ თქვენს ღვაწლს დედანო,
სული უბიწო რომ კვლავ დავლოცო.
მსურს, მოვილიო მძიმე განცდები
და წარვედგინო საკუთარ თავთან.
ზიგ-ზაგ ცხოვრების თითო მარცვლები
(მინდა იყუჩოთ!) მილიონს გასცდა!

***

როგორ ვუდროვო, მოვუყარო თავი განსაცდელს
ზემოქმედების უნარს ჩავსწვდე სიგრძე-სიგანით.
ვინ ვარ? დასტურად ვიშველიებ ახლა დარდს და ცრემლს
და ძალისხმევას დავამშვენებ მკვეთრი სიგნალთ.

თუმც მგმობენ, - ღიმილს ვასაჩუქრებ(ჩემში ბევრია)
ისე, რომ არ ღირს, შევცბე, სივრცე გამოვიზოგო.
გავუფერულდი, მაგრამ, სადღაც მგრძნობენ, მელიან
მზე ზენიტშია და პრიალებს კარგახნის ლოგო.

სუვენირებს, ხომ, სასაჩუქრეს, - აქეთ და იქით
ფასი კია არა, - ღირსება აქვთ უპირველესი.
წინდახედულებს თუ ეკუთვნით, რატომ არ მიქეთ
ანკარა წყარო, მოსახვევის, მადლად რომ შევსვი?

სიმბოლისტების ვარ სტუმარი რეალისტურად
და ვალად მადევს, ეს მისია ღირსად გავწიო.
რახანია, რომ ვოცნებობდი, ვთვლი, - ამისრულდა -
ჩემი პატარა მართვე ბიჭი შენ გგავს, არწივო!

***

გადასარჩენად უცნობისა, მის სულის ხსნისთვის
მსურს გავაკეთო არჩევანი, მაგრამ, - როგორი?
გონებას ვძაბავ, რომ არ შევცდე, ზრუნვისთვის სხვისთვის
და შემეწიოს შემოქმედი, პირველმომგონი -
იმ უნარისა, ადათისა, რომ აქვთ მოკვდავებს
ანუ განგებამ ჩაუნერგა უპირველესად.
რას მივაქციოთ ყურადღება, სანამ მოგვკლავენ,
ღირსების დაცვას რომ ვირჩევდეთ უმთავრეს წესად?
მინდა ყველაფერს, რასაც ირგვლივ თვალი ევლება,
თვალისჩინივით ვიცავდე და თქვეთვის ვსახავდე.
ანუ, ლიტონად არა ჟღერდეს ჩემი ვედრება
გულში ტკივილის ჩასახვიდან - წარმოსახვამდე.
დიახ, რაც უნდა მძიმე იყოს ტარება ტვირთის
საძრახისია განრიდება, განდგომა განზე.
-ამდენ არეულ თვალსაზრისებს ვახვავებთ რისთვის?
ვივიწყებთ რწმენას და ვესწრაფვით ყოფას ამაზრზენს?

***

ოფლი მასხამს თუ... ყელში ცუდად მაწვება რაღაც...
გული კვლავ მერჩის, რომ ვიხსენებ შენს ვარდის კოკრებს.
გვიან და გვიან დავმშვიდდები, სადღაც და სადღაც
კვანძს რომ მიხსნიან და კითხული გზას შემიმოკლებს.
მეყვსეულია დრო რაოდენ, -მძაფრად ვგრძნობ განცდას,
დაპირებების შემსრულებელს გულდასმით ვეძებ.
თვითდაჯერების ჟრუანტელი წამს მაქცევს ანცად
და მეტაფორას ადგილს ვუჩენ, როს მსაზღვრელს ვერ ძლევ.
მეტასტაზები თუმც სასტიკად მაქვს მოდებული,
-რის ონკოლოგი, - მსურს მეტოქეს მარტო შევება.
ატომალური ფიქრი თან მდევს ხსნად გოდებულის,
-შევთხზავ სილუეტს ღია ცისას და მეშველება.
ოფლი მასხამს თუ... ყელში მძიმედ მაწვება რაღაც...
ძლივს საკეთებელს, მაინც ჯიქურ, ათასჯერ ვჩემობ.
და წარმოგიდგენ უსათნოეს გულისსწორს - დაღლას -
მოკეთევ, ჩემო!

ფარნაოზ რაინაული

დაიბადა 1936 წელს, ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში. 1953 წელს დაამთავრა თუშეთის ომალოს რვაწლიანი სკოლა, 1956წელს რუსთავის მეორე საშუალო სკოლა, 1963 წელს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის სპეციალობით.

ინსტიტუტში სწავლის დროს, რედაქტორობდა საინსტიტუტო გაზეთებს, - ჯერ, სატირულ-იუმორისტულ გაზეთს „ჭინჭარს“ და , შემდეგ - ახალგაზრდა მწერალთა გაზეთს „ახალგაზრდა შემოქმედს“.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ , - 1963 წლიდან, 1990 წლამდე რედაქტორობდა პერიოდულად სხვადასხვა დროს, გაზეთებს: „კოლმეურნის ხმა“, „განახლებული თუშეთი“, „ბახტრიონი“.

1990 წლიდან მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების ალმანახ „ალაზნის“ ჯერ, ლიტმუშაკად, შემდეგ კი - მთავარი რედაქტორის მოადგილედ, -2004 წლამდე.

2004 წლიდან დღემდე მუშაობს მწერალთა ასოციაცია „ლიტერარურული კახეთის“ თავმჯდომარედ. არჩილ სულაკაურის წინასიტყვაობით გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ თუშური მოზაიკა“.

არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიების ლაურეატია.

სამშობლო

დამძივდებიან ვარსკვლავები
რამდენჯერ,ასე...
კვლავ ილაღებენ
დროის ქარნიც,
ახლა რომ ქრიან,
მე, რაც -
მალაღებს,
მალამაზებს,
მამდიდრებს,
მავსებს, იმას -
ქართულად,
ერთი სიტყვა
სამშობლო ჰქვია!...

საკოცნელ მიწას,
მიწის ხელზე
ანთებულ ვარდებს,
დასაბამიდან -
ხმალ-გუთანზე
იმედის ცქრიალს,
არწივებს მყივანს,
ელვასავით -
ჩაუქებს,
მარდებს,
სინდისს და ნამუსს -
დასტურ,
ჩემი
სამშობლო ჰქვია!...

ჭიუხში -ჯიხვებს,
ტყეში - ირმებს,
წყვილად , თუ - ცალად
სიცოცხლეს, - ზვარაკს -

სიკეთისთვის,
ароდეს გვიან,
შოთას და ვაჟას -
ლექსის, სიტყვის,
ჯადოსნურ ძალას,
საუფლოს ღმერთთა, -
ამ ოლიმპოს,
სამშობლო ჰქვია!...

ყალყზე შემდგარი
ჩანჩქერები -
ლაგამს რომ ხრავენ,
ქვევრებში -
ვაზის სამირონე
რომ იწყებს თქრიალს,
სარაჯიშვილის,
გონაშვილის -
სიმღერის ხავერდს,
ეს, - კურთხეული,
ეს, - ღვთის სიტყვა:
სამშობლო ჰქვია!...

უფრო ლამაზი -
ამ რიჟრაჟზე,
რა უნდა მწამდეს?
უცქირეთ მთვარეს,-
ღამის სანთელს, -
წიქარას რქიანს,
ატყორცნილ ტაძრებს, -
მზით მოხატულ,
იისფერ ცამდე,
თილისმა - სიტყვა,
ძუძუ - სიტყვა,-
სამშობლო ჰქვია!...

მწვერვალებს,
ველებს,-
ანდამატურს,
ცეცხლოვანს, -
 ფრიად,
ხან-
ზურმუხტოვანს,
ნარინჯოვანს,
კლდიანს, თუ -
ქვიანს...
სიყვარულს,
სევდას,
სიანკარეს, -
ამ გულის ფრიალს,
ეს, - ერთი სიტყვა,
ეს, - მზე-სიტყვა:
სამშობლო ჰქვია!...

საკოცნელო მიწავ!

მტკვარო, ბზიფო, ალაზანო,
რიონო და რიწავ,
უტურფესო ლამაზმანო,
სიყვარულით გიცავთ!
ნიკორწმინდავ, ალავერდო,
ამ სიყვარულს ვფიცავთ,
არ იქნება, არ გავედროთ
ეს ჯვარცმული მიწა!
„მუმლი მუხას“ ვგუგუნებდით,
ვთლიდით აკვნის ფიცარს,
ივერიის უკუნეთი
ღმერთის ცეცხლმა ცრიცა!
ფიქრი დადნა მთვარესავით -
როცა გავჩნდით, იმ წამს,

შენ ხარ - ჩვენი საესავი.[2] –
მთავ და ველო, მრგვალო ცაო,
დარდს თქვენი მზით ვიწვავთ,
ჩვენო - ხატო, სალოცავო,
საკოცნელო მიწავ!

გამთლიანდი საქართველო!!!

(სიმღერა)

თავისუფალ მთებს და ველებს
რომ უცინი ალიონო,
მინდა შენი უკვდავების
სადღეგრძელო დალიონო...
გარდმოვხსენით : ჯვარს გაკრული,
წამებული საქართველო, -
სიკეთე და სიდიადე
აქ ასხივო, აქ ართველო!..
სიხარულმა, სიყვარულმა
დილა მუდამ აქ ათენოს,
სავაზეთო, სავარდეთო,
სადაფნეთო საქართველო!
დარიანი დარიალი,
საენგურო, სარიონო,
სამტკვარო და საალაზნო
ველარავინ არიონო...
ორგულმა და მუხანათმა
არასოდეს აღარ თელონ -
ლომების და არწივების
საბუდარი საქართველო...
ჯაჭვის პერანგგაუხდელო, -
ანგელოსთა აკვანმთელო,
გაბრწყინდი და გამზიანდი
გამთლიანდი საქართველო!!!

---

[2]რუსთაველი, 1446,1. იმედი, სანდობი, საიმედო, მისანდობელი.

ირაკლი რაჯებაშვილი

დაიბადა 1953 წლის 2 იანვარს. დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი. შემდეგ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ჯერ სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურში, შემდეგ - სკოლა-ინტერნატში.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

ვაჟა-ფშაველა

ბუნების შვილსა, ბუნება,
გიზიარებდა ვარამსა;
კლდენი, ხევები, ცხოველნი,
ყველგან გაძლევდნენ სალამსა.

ნამეხარ მუხის ამბავი
მუხამ გიამბო თავადა,
თავისი გულის ვარამი,
მიანდო შენსა კალამსა.

ველად გასულმა, ყვავილებს,
დღენი უსურვე მზიანი,
შვლის ნუკრი შემოგეყარა
საოცრად თვალცრემლიანი.

გიამბო თავის ამბავი,
ცრემლი არ შრება თვალზედა,
სისხლის წვეთები დაჰკიდა,
მაგ შენი გულის კარზედა.

ფეხთ მიწა გამოგაცალა,
დაჭრილ არწივის ყივილმა,
მაშინვე გამოგაფხიზლა
ტყიდან ხარ-ირმის ყვირილმა.

ენას გიწუნებს აკაკი -
სათქმელად ძალზე მწარეა.
თუმც კი გადარეებს მარგალიტს,
ენა ტკბილ მოუბარია.

წმინდა ილია, აკაკი
შეწუხებულან რაზედა?
ნუთუ მთიელსა სწუნობენ
ფშავურსა კილო-კავზედა?

მთიელმა კრძალვით მიიღო,
მხრცოვან პოეტთა ჩივილი.
და უთხრა: - თქვენ რას დაგაკლებთ
მთიდან ხარ-ირმის ხივილი.

ქორწილი საქართველოში

დღეს ქორწილია საქართველოში,
ფუძე ეყრება ოჯახა ქართულსა;
რომ ცეცხლი ენთოს სამარადისო
ამ სახლის კერას მამა-პაპურსა.
დავლოცოთ წყვილი, მერე რა წყვილი,
არწივს მაგონებს მზერა ნეფისა.
ხოლო დედოფლის ეს სინარნარე
მაგონებს გოგმანს ლამაზ მტრედისას.
ერთად იარეთ ღრმა სიბერემდე.
ამრავლეთ ჩვენი ერი ქართული;
სამარადისოდ თქვენს გვარსა ჰქონდეს
სახელი დიდი, მართლაც კაცური.

ნათლია

ქვეყნად მრავალი კაცია,
ვინც სიკეთისთვის ანთია.
გულში სიკეთე უღვივის,
ის არის ჩემი ნათლია.
ნათლის მცემელი რომ იყო,
ერთი უბრალო კაცია,
სწორედ ის იყო ამ ქვეყნად
ჩვენ ქრისტე ღმერთის ნათლია.
თუ გაქვს მშობლების ხათრია
და ქრისტე შენი ხატია
ნურავის უარს ნუ ეტყვი
რომ გახდე მისი მათლია.
მარჯვენა ხარ თუ ცაცია
და ქვეყნად გქვია კაცია,
არასდროს არ დაგავიწყდეს
ვინ არის შენი ნათლია.

ფატი სამხარაძე

დაიბადა ქალაქ თელავში. დაამთავრა ილია წაჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენების ინსტიტუტი. პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება 1966 წლიდან. 1968 წლიდან მუშაობდა თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. გარდაიცვალა 2006 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დილით.

სურათი

შეწყდა წვიმა და მოისარკა
ზეცა კვლავ ლურჯად,
მზემ ისევ უხვად გამოგზავნა
სხივები მწველი...
და თვალწინაა დიდი ტილო,
ნახატი ფუნჯით,
ჩემი კახეთი, თვალწარმტაცი
ალაზნის ველი.

ლოდი

გელამუნება ზღვის ქაფი ლაღად,
თითქოს უგულოდ იფერებ ალერსს.
და, როცა უკან ბრუნდება ტალღა,
მდუმარე სევდით ივსები წამსვე.

ენძელები

რძისფერ ნისლში გარინდულა სასაფლაო,
ამ სიჩუმის შეშფოთებაც მეძნელება,
მივიწყებულ, ასწლოვანი ლოდის გვერდით
სანთლებივით ანთებულან ენძელები.

წვიმა

ატირებულხარ...
უმიზეზოდ ატირებულხარ
თუ ძლიერ ბოღმას ვეღარ გაუძელ?
ღამეულ ნისლში
ჩაკარგულა კენტი ნათურა,
მსხვილი წვეთებით ტირის მავთულზე...

***

თეთრო ფიფქებო, სიფრიფანა ფრთებით,
თეთრი ზღაპრებით რომ ხატავთ ზამთარს,
გადაათეთრეთ ჩემი ფიქრებიც,
გულზე რომ მაწევს და ავად მზაფრავს.

***

პურის ნატეხი დავიგდე საგზლად,
სხვათა ლხინს მშვიდად ვარიდებ თვალებს...
და ამ ყველაფრის მიუხედავად,
შურს ვერ ავცდი და ვერ დავემალე.

ბედისწერა

არა და არა, არ გამოცხვა ეს ობლის კვერი....
გამოვიკეტე ჩემს ნაჭუჭში, ვით ხობოკვერა....

***

ცხოვრების ქაოსს რად მივემატე,
ან უბედობა რად დამებედა?
რისთვის დამწყევლეს?
ვის ცოდვას ვზიდავ?
რად ჩაკლა ჩემში ბედისწერამ
ქალი და დედა?!

***

მე რას დავტოვებ?
თუ დამრჩება ხსენება წმინდა?
სად შევწყვეტ სუნთქვას
ეული და მიუსაფარი?
მიემატება უხმაუროდ
სამშობლოს მიწას
ერთი პატარა უწარწერო
ბორცვი საფლავის.

ნადიკვარი

აცივდება და ეთხოვები ხალხის ჟრიამულს,
რჩები მოწყენით, გაბუტული, უხმო, მდუმარი,
მთვარე დაგხედავს მიტოვებულს და გარინდებულს,
მთვარე იქნება ერთადერთი შენი სტუმარი.

***

არც საყვედური წამომცდება არავის მიმართ,
რაიმეს შეცვლას აღარცა ვცდილობ,
მე მარტვილობა მომისაჯა ზეცით უფალმა...
და ... ჰა, - ვმარტვილობ!...

ჯანეტა სამხარაძე-ჩიკვაიძე

დაიბადა ქ. თელავში 1941 წლის 10 თებერვალს. 1958 წელს დაამთავრა თელავის მე-4 საშუალო სკოლა, 1967 წელს - საშუალო სკოლა, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით, ხოლო 1973 წელს - ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისდა ლიტერატურის სპეციალობით. 1959 წლიდან ცხოვრობდა წინანდალში, მუშაობდა სკოლაში, აქვს 51 წლის მუშაობის სტაჟი, ჰყავს 1 შვილი, 2 შვილიშილი და1 შვილთაშვილი. ამჟამად პენსიონერია, ცხოვრობს თელავში. მისი ლექსები იბეჭდებოდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში.

წინანდალო

ჭავჭავაძიანთ ნატერფალო და
ორბელიანთა ნაოცნებარო,
ტატოს ფიქრების ნავსაყუდელო,
მხოლოდ სოფელო? - ლექსო, ზღაპარო!

სამოთხის ბაღო, მუზავ და ჰანგო,
სიტურფით ხოხბის ყელის სადარო,
სიმღერის ეშხო, ნატვრავ და შვებავ,
ლექსთა სასახლის ბჭევ, წინანდალო!

სიმღერა

ალაზნის ნაპირზე ნისლი დაძენძილა,
ტირიფიც ამ ნისლის ფერია,

ლაჟვარდში აჭრილან მტრედები, მერცხლები,
სიცოცხლის სიმღერას მღერიან.

ფრთოსანთა სიმღერას სიმღერით ავყვები,
მეც მათებრ, მეც მათებრ მალი ვარ,
მაგრამ ლურჯ ზეცაში როგორ ავიჭრები,
ერთი უბრალო ქალი ვარ.

ნატვრა

კვლავ შევხარი ცას დაფოთლილს მტრედებით,
გულანთებულს მზის სხივების ბრიალში
და ვინატრებ სიმღერით და ლექსებით
დავიფერფლო ჩემი მიწის წიაღში.

ჩემს მამულში სულ ჭაბუკად დავრჩები,
შორს დავიფრენ ჭაღარას და სიბერეს,
ყველა ბულბულს და ტოროლას ავყვები,
სიყვარულის სადღეგრძელოს ვიმღერებ,
საქართველოს საგალობელს ვმღერივარ!

ჩვენი განძი

ჩვენი განძია ენა ქართული,
ჩვენი გმირების მშობელი ენა,
მით ცურტაველი წერდა „შუშანიკს“,
ის იკორთაში ხატად ესვენა.

ამ ენის შუქით გაბრწყინდა შოთა
და მთელს მსოფლიოს დაადგა შუქად,
ამ ენით წერდნენ ჩვენს მატიანეს,
ენის მარგალიტს აფრქვევდნენ უხვად.

პლესტინაში, ჯვრის მონასტერში

ამ ენით ანთეს წმინდა სანთელი,
გურამიშვილმა, ბარათაშვილმა
ამ ენით შექმნეს ცრემლით სათქმელი.

ილიას კალამს, აკაკის კალამს
ამ ენით ჰფენდა ნათელს სიონი,
და ვაჟასავით მეხად მომსკდარი
ამ ენით ჰქუხდა გალაკტიონი.

გოგებაშვილმა წიგნად აკინძა
სულის ძაფებით ამოქარგული
და „დედა ენის“ უკვდავ ბწკარებად
უძღვნა პატარებს წიგნი ქართული.

ქართულო ენავ, შენ გაგიმარჯოს
მარად გქონოდეს ქართული სული,
რომ მომავალი გაგვიცისკროვნო
სულ გაგვახსენე დიდი წარსული.

იხარე, ჩემო მშობელო ხალხო,
ერო მართალო, ერო ძლიერო,
იცოცხლე ენავ,ქართველი ხალხის
საამაყოდ და საბედნიეროდ!

მინდა

მინდა, ჩემს მამულს
ავენთო სანთლად,
ღმერთო, გვაკმარე
სისხლი დაღვრილი,
ღმერთო, არასდროს
აღარ გათენდეს
შავი ცხრა მარტი
და ცხრა აპრილი.

ღმერთო, დალოცე
სამი ხატება, -
სარწმუნოება,
ენა, მამული,
გაამთლიანე
სისხლით დამბალი
გაწამებული
მიწა ქართული.
იყოს მშვიდობა,
იყოს შენება,
კვლავაც დავადგათ
სართულს სართული
და საქართველო
გვენახოს ისევ
ლაღი, ამაყი,
წელგამართული!

თაძია სისაური

დაიბადა 1945 წლის 5 ნოემბერს თელავის რაიონის სოფელ სალებში. საშუალო განათლებით. სახალხო მთქმელი. ლექსების წერა სკოლის პერიოდში დაიწყო. არის ზეპირსიტყვიერების ფოლკლორის ფესტივალის ლაურეატი, რომელიც ჩატარდა თბილისში 2006 წლის შემოდგომაზე. მისი ლექსები შესულია საქართველოს გოლკლორის სახელმწიფოცენტრის მიუერ 2006 წელს გამოცემულ წიგნში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

****

დედობა ხევსურის ქალსა
მილოცვილი აქვ ხთითაო.
გაჩენა პარატაისა
მემრ გაზრდა კაი ყმისაო.
ძალს და სიმხნევეს უმატებს
წყალობა ხთის მშობლისაო.
სამშობლოს დამცველს რომ უზრდის
ერს ერთგულ შვილს და გმირსაო.
როცა იღბალი უმუხთლებს
მკვდარს მიუტანენ შვილსაო,
სიყტვას დახარჯავს ხუცესი
პირველს ის უწყენს ჭირსაო.
ხმით მატირალიც იწივლებს
ხალხი დაიმჩნევს ჭირსაო.
გამტკნარდებიან ყორენი,
ყველა გაიკრავს პირსაო.
დედა დადგება მკვიდრადა
არ გამააჩენს ცრემლსაო.
გულზედ მაიყვანს სუყველას,
სიტყვას დახარჯავს ძვირსაო.

არარა აზმის მაგასა,
დამრჩალთაც მაგვხდის ჭირსაო.

***

უშენოდ მიწას ვამძიმებ
გთხოვ, ნუ დამტოვებ ცალადა,
თუ ხმლის კვალობას ვერ ვიზამ
ვიცი, ვივარგებ ფარადა.

სიცოცხლის კალთას შენით ვგრნობ,
არ ვამბობ დასამალადა,
შენ სიყვარულს რომ ვამჟღავნებ,
მე ეგ მედება ბრალადა.

სამაგიეროდ შენს თვალებს
მუდამ ვჭირდები წყალადა,
ვერ მიმატოვებ უგულოდ,
ღმერთისგან გადევს ვალადა.

წუთია წუთისოფელი,
დატრიალდება ჩქარადა.
ყველა თავისას გაიტანს,
ჩვენ რადღა დავრჩეთ მტკნარადა.

***

იქნება წუთისოფელმა
კიდევაც მამცეს მხარიო,
გამაკვალვიას ბილიკი,
არ იყოს ჩემი ბრალიო.
სიკვდილის ნებას არ მაძლევს
სიცოცხლე, ქვეყნის თვალიო,

მოუსვენრობაც იმით მჭირს,
მაბორგებს, როგორც წყალიო.
მინდა პირნათლად წავიდე,
არვისთან დამრჩეს ვალიო,
ყმა სვამდეს შესანდობარსა,
ცრემლს იწურავდეს ქალიო.

***

ყოველ წელიწადს ხელახლა
ვჯეილდები და ვბერდები,
მანამ ვიცოცხლებ, ქალშავავ,
სანამ არ გადაგჩვენდები.
გაზაფხულს ვიწყებ ბალღობას,
ზფხულში წელში ვსწორდები,
შემოდგომაზე ყრმობას ვდევ,
ზამთარში კიდევ, ვბერდები.
მზის სხივი ძალას მიმატებს,
შენი სიცოცხლით ვმშვენდები,
მაინც ვიცოცხლებ მანამდის,
სანამ არ გადაგჩვენდები .

ზინა სოლომნიშვილი

დაიბადა 1941 წლის 15 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში. დაამთავრა ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ლაბორანტად. 1978 წლიდან მუშაობა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე.

ზინა სოლომნიშვილის ლექსები 1964 წლიდან იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. ავტორია სამი პოეტური კრებულის. ზინას ცხოვრება ლექსია, უყვართ და პატივსა სცემენ ზინას, მის მდიდარ პოეტურ შემოქმედებას.

***

მთებს აპრილი დაჰკისკისებს სერაფითად,
ცხელ მიწაზე დაკონებას მთხოვს სხეული,
აბა, მითხარ, მე უშენოდ მზე რად მინდა?!
ლერწამი ვარ, სალამურად მომსხვრეული.
ნუ გამისწრებთ, წლებს მივკივი მდევარივით,
მე ამქვეუნად ვარ სიტკბოსთვის მოწვევული,
კახურ ვაზზე ასაგლეჯი მტევანი ვარ,
შენს ცხელ გულზედ დასაწურად მოწეული.

დათა თუთაშხიას

თუ გეფერები ისე, როგორც
დევნილ სიმართლეს,
ეგ შენი მხრები ენძელებით

რად არ დავთოვო. . .
შენ გენაცვალოს
ყველა ქალი
და ყველა კაცი,
მთელი სამყარო გენაცვალოს,
დათა ბატონო.
შენი დანახვით აყვავებულ
ყველა გულების
მინდა მოგიძღვნა თაიგული
არ თქვა-რატომო. . .
ყველა ჭრილობა,
ბოროტებამ რაც მოგაყენა,
მინდა ტუჩებით
მოგირჩინო,
დათა ბატონო.
მსურს შევაგებო მკერდი
ტყვიას, შენსკენ გასროლილს,
მოგტაცო გული,
მზეს მხურვალეს
რომ დავატოლო. . .
აჰა, ვიწვები
შენს წინ მდგარი,
როგორც სანთელი
და შენს წინაშე
ვიფერფლები
დათა ბატონი.

***

მეფერებიან მთები ძმებივით,
ჩემი და იყოს ახლა ცა, ნეტავ. . .
ჩემი ცრემლებით მორწყულ ბილიკებს
ლურჯი იების წარღვნა წალეკავს.
გულს უნდა ერქვას ფიქრთა სადგური,
ყველა ფიქრი თუ აქა გროვდება,

ჩემი ცხოვრება, როგორც კოშმარი,
უკვე დასასრულს უახლოვდება. . .
უკვე ჩამოჰკრეს მესამე ზარი
და მიდის ჩემი მატარებელი. . .
ისე ნორჩი ხართ, მოგონებებო,
თქვენ არასოდეს არ დაბერდებით!
რის გაქროლება ან აქროლება,
თუ გამოვლილ გზას უკან გავცქერი. . .
მიიღე, მზეო, ეს ჩემი ლექსიც,
ვით შვილის კოცნა უკანასკნელი.

არ ერქმეოდა

დანაღმულია მიწა ფიქრებით,
მზისკენ მიჰქრიან მთებიც ქვემოდან,
ყველა სურვილი რომ აგვხდენოდა,
მაშინ ოცნება რა იქნებოდა!
რომ ვერა მწვდები, მე ეს მალაღებს,
დე, მარად ჩემი სევდა გტკიოდეს,
არ ერქმეოდა ზეცას მაღალი,
რომ კაცთა მოდგმა ზედ დადიოდეს.

კარლო ქართველიშვილი

დაიბადა 1947 წლის 16 თებერვალს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში. 1966წელს დაამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა. თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის თეატრალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1970 წლიდან დღემდე მუშაობს მსახიობად თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრში. არის მხატვარი. მუშაობს ფერწერაში. უყვარს პოეზია.

იყავ უბრალო

თუ ხარ კაცი და ნამუსის ქუდს
მართლა ატარებ,
არ უნდა იყო შურიანი, მოქიშპე, მხდალი;
სხვის დამცირება არ გიყვარდეს,
თავიც არ იქო,
არ სთქვა, რომ ქვეყნად არ არსებობს
ჩემი ბადალი.
იყავ უბრალო, ზრდილი, გამრჯე,
გამგებიანი,
იყავი შენთვის და კეთილად
ხალხს ემსახურე.
საკუთარ თავზე არ იფიქრო
სხვასაც მიხედე
ხალხში პატივი, სიყვარული დაიმსახურე.

ულექსოდ ვერ ვძლებ

მე თუ მახარებს - მხოლოდ ლექსები.
ულექსოდ ვერ ვძლებ, სუნთქვაც კი მიჭირს.
ჩემი ცხოვრების რიტმი ყოველი
ეს მხოლოდ თქვენით მიდის, წინ მიჰქრის
ვერ შემაჩერებს რაც უნდ წინ დამხვდეს,
მე აღმაფრენით სულ წინ მივიღწვი,
ლექსია ჩემი გულის მალამო
ლექსის ალმურში ვდნები და ვიწვი.

ქართულ თეატრს

რა დიდებული კულტურული წარსული გქონდა
როგორ აღსდეგ და საუკუნოდ ფრთები გაშალე,
ქართულ თეატრის ქომაგი ვარ, ნუთუ ვერ მიცან
აჰა, შენს გზაზე მოვდივარ და არ დავიღალე.
შენი ჟანრები: კომედია, დრამა, სატირა,
ინსცენირება, ტრაგედია თუ ვოდევილი
ჩვენს დრამატურგებს ყველა ჟანრში უწვდებათ ხელი
და მათგან უფრო უკეთესს და ახალს მოველი.
შენ ეროვნული ხელოვნების დარგი ხარ ერთი,
რომელ კუთხეში არ უგრძვნიათ სიამე შენთა,
ჩვენი ცხოვრების სარკე ხარ და სარკედ დარჩები
შენ არ მოკვდები, იარსებებ ჩვენს ხალხთან ერთად!

ნიკო ფიროსმანს

რაც დრო გავიდა
და რაც დრო გადის,
ახსოვხარ ყველას
და ეხსომები.
რაც შენ გეწადა

და რაც რომ გწვავდა
ყველა აღსრულდა
შენს ძველ თბილისში.
თუ რამ შექმენ და
ჩვენ დაგვიტოვე...
ვინც არ გიცნობდა
ახლა გაგიცნო.
რა კაცი იყავ
და რა გენების
ეს დაგვანახა
შენ ბევრმა ტილომ.
ასე, ამგვარად აამეტყველე
მაგ შენი ფუნჯით,
მართალ ფერებით,
ეს საქართველოს
უღრუბლო ზეცა
ლამაზ კორდებით,
ლამაზ სერებით.

***

როგორც ბუდეში
ჩამიფინეთ ლექსი კუბოში,
დე, პოეზიის ჰანგი მესმას
საიქიოში.

გვანცა ქეშიკაშვილი

ივანე ქეშიკაშვილი

დაიბადა-1931 წელს. პროფესორი.
ენათმეცნიერი, მწერალი.

ვაჟას ძეგლს

დუშეთში აშენებული
ძეგლია ვაჟაისაო,
მხარგაშლითა სდგას მანძილა.
ხარი მაღლისა მთისაო!
გაჰხედავს აღმოსავლეთსა,
ისრიკ იბრუნებს პირსაო!
როცა მნათობი ამოვა,
შუქ ეფინება მზისაო.
ნაკლებად გაზდის დედაი
ვაჟაისთანა შვილასაო:
მწერალსა, პოეტ-მგოსანსა,
დაუფასებელ გმირსაო,
მადიდებელსა, სამშობლოს
მიმცემსა იმედისაო!
კიდევ მაისმის სიტყვები
მის ომახიან ხმისაო:
კიდევაც დაიზრდებან
ბარტყები არწივისაო,
მხარკვერიანი ვაჟკაცნი,
გულები ფოლადისაო,
გაუტეხნელი ომშია,
გამნადგურებნი მტრისაო!

ყური დამიგდეთ ფშაველებო

ყური დამიგდეთ ფშაველებო,
სიტყვა მაქვს მოსახსენები:
მე-ლ ფუნჩიამც გავყარა,
მაშინ კი დავისვენებდი,
აღარ გველექსა ერთურთი,
მოგვაწერონა ხელები,
ან კუზად შვილებს მაჰთხრია
რძალუეების მხსნელები,
რა ნარიყალზე დაწირეს
საწყლები მათურელები,
შინაით ცოლებს წაართვეს,
გაურეგვნინეს ქერები,
იარონ ანანურჩია,
გრიხონ საპალნე წნელები.
აბა, ფუნჩიას რა უჭირს,
ბევრ გოდრეს უნდა ძველები,
რო არ მენახა თავადა,
ნათქომს ვერ დავიჯერებდი.
ცოლ-ქმარნ ვეძაზე მოიდენ,
ჰყავდა იორღა ცხენები,
პრიალებს შაკმაზულობა,
ცხენს თავალ ვერ დაახერებდი.
ორთავ აბგეებ ეკიდა
თათრულ ფორმაზე ჭრელები,
ნაბდები გარბადინისა.
ერთ ცხენ ლოგინი ეკიდა
ცნეულის მოსასვენები,
რძე მააქვთ გუდახარითა
ჩაიში გასაცხელები.

***

ისე მინდა ვწერო სიტყვა,
წაქრსულიდან მონაბერი ყველა სიტყვა
გაგახსენოს,
და გულიდან წამოსული ცრემლი მორევს
დაემსგავსოს.
ისე მინდა ვწერო სიტყვა,
მთის ფერდონზე ბუჩქის ძირას
ამოსულმა,
პაწაწინა იის სუნთქვამ რომ შენს გულში
ყველა სიტყვა ააჟღეროს.
მაღლა ცისკენ მომავალი მოგაბრუნოს,
პატიებას სთხოვდე უფალს,
დანთებული ხატების წინ სანთელივით
ჩამოგადნოს.
ისე მინდა ვწერო სიტყვა, რომ
ავდარში, ქარიშხალში,
მზე, ვარსკვლავნი, ცისარტყელა,
ყველა
ერთად დაგანახოს.
მე ვერ დავწერ სიტყვას ისეთს,
რაც არ თქმულა,
რამაც ყველას გულიერთად
არ მაღერა, არ ატირა, სიყვარულით
არ აავსო.
მაინც დავწერ იტყვას ისეთს,
სინანულით რომ აგავსოს,
აღსარება უთხარა უფალს,
წყნერად მშვიდად მიიძინო.

*****

ღამით ანგელოზი მომიფრინდა,
ხელით მანიშნებდა გამომყეო,
ბილიკს დავადექი ნაბიჯ-ნაბიჯ,
ტაძარს მიმიყვანა შუატყესო.
ჩემ წინ აღმართული ტაძრიდანა,
გალობა მოისმოდა შუამთებსო,
ანგელოზთ გუნდთა ტკბილი ხმები,
გულს ამიჩქარებდა იმ ღამესო,
მხარსა შემაფრინდა დალოცვილი,
-მე დაგიფარავ ყოველ დღესო.
უფალი ვადიდე და გამოვბრუნდი,
ერთი ვინატრე, ღმერთმა ამისრულა,
სახლთან ანგელოზი დამიხვდესო.

ნუნუ ძამუკაშვილი

დაიბადა 1952 წლის 1 იანვარს თელავის რაიონის სოფელ კონდოლში.1968 წელს დაამთავრა სოფელ რუისპირის საშუალო სკოლა.

1973 წელს დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობით. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1977 წელს „ალაზნის განთიადში“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში: „დილა“, ‘ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს ქალი“, „თბილისი“, „ათინათი“, „დაჩი“, „ოლე“, „უქიმერიონი“, „ჭოროხი“.

1997 წელს გივი ჭიჭინაძის რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოიცა ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსების კრებული „ზრდილობიანი მატარებელი“. 1992-2004 წლებში მუშაობდა მწერალთა კავშირის თელავის განყოფილებაში ლიტერატურულ კონსულტანტად.

ნუნუ ძამუკაშვილი არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად ხელმძღვანელობს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის სექციას. არის ჟურნალ „ოლეს“ პრემიის ლაურეატი.

სიყვარული და გაზაფხული

სიყვარული გაზაფხულზე
უცებ გამოგვეცხადა
და ბაღნარშიც ყვავილები
მოგვეგება მერცხლადა.

გვირილები გაოცებით,
ჩუმად გვითვალთვალებდა,
სიყვარულით გვინათებდა
ლამაზ, ფართო თვალებსა.

ერთმანეთის გარდა, ქვეყნად,
არაფერი გვინდოდა
და ... ზღაპრული კოშკებივით ,
გაგვახარა იმ ოდამ...

გაიარა წლებმა უხვად, -
გაზაფხულმაც, ზაფხულმაც,
შემოდგომამ კარი გახსნა,
ზამთარმა კი - დახურა...

გვირილები ნაზად ჰყვავის,
ეფერება ოლოლებს,
ჩვენც ვეცდებით, წუთისოფელს
რომ გავუგოთ, - ბოლომდე...

***

მე გაღმერთებ და მგონია, -
რომ შენ მოგყავს გაზაფხული,
შენს გულამდე სხივებს მოვყევ
და იმედს სათუთად ვუვლი...
უკვდავების ბილიკს მისდევ, -
ანკარა და წმინდა წყარო,
თვალი სხვასაც რომ არ მოსჭრა, -
ჩემი იყო, - მიტომ ვჩქარობ...
როცა გვალხენს ზენაარი,
ხან სევდასაც გვაპატიებს,
სიყვარულთ გიძღვნი ამბორს
და გულს ვატან - ია-იებს.

ასეა და რას იზამ?!

ეს, - სულ, წუთში, წამში მოხდა,
მზეს შემოჰყევ ანაზდად...
და.. უცებ, ეს გაზაფხული
კიდევ უფრო განაზდა.
ან აქამდე სად იყავი,
როგორ ვძლებდი უშენოდ?-
ახლა ვიცი, ამ სიყვარულს
როგორ უნდა ვუშველო.
გულისგულში ვარდის მესერს
შემოგავლებ ფაქიზად,
მზის სხივებზეც ვეჭვიანობ,
ასეა და რას იზამ...
სანამ მთვარე მზეს მიჯნურობს,
კარგო, ჩემი იქნები,
პეპლებივით აფარფატდნენ
ფრთახატულა ფიქრები.
ეს, - სულ, წუთში, წამში მოხდა,
მზეს შემოჰყევ ანაზდად...
და.. უცებ, ეს გაზაფხული
კიდევ უფრო განაზდა.

გულმა რომ გაიხსენა

გულმა რომ გაიხსენა
არჩევანი თავისი,
ვარსკვლავივით გიპოვე, -
მკერდში ჩუმად ჩაგისვი.

`ბედთან დასამდურები
არაფერიც არა მაქვს,
ნიავ-ქარი ჩვენს ამბავს
გადააქცევს არაკად.
იღიმება ჭადარი, -

ბევრი განცდის მნახველი,
გვიან რატომ მოხვედი,
ადრე რატომ წახვედი....
	გულმა რომ გაიხსენა
არჩევანი თავისი,
ვარსკვლავივით გიპოვე, -
მკერდში ჩუმად ჩაგისვი.

სიყვარულის ბარათი

	როგორც შენი ჩუმი ჩრდილი
მეც დაგყვები ისე...
დაისზე თუ ცისკრობისას
ოცნების ჯარს ვისევ...
	მიხარია მზის ამოსვლა
სხივად გზავნის ლილეს,
დააკერებს მწვანე ღილებს,
გვირილების ღილებს.
	როგორც ჩვენი სიყვარულის
უტყვი თანამგზავრი,
დაგყვები და სიხარულის
ბარათს მზესთან ვგზავნი.

შემოდგომაზე

ზაფხულმა თავის კვერთხი შემოდგომას
გადასცა და გრძნობით გადაკოვნა,
მზემ ფერები უფრო ჩაამუქა, -
მზემ შემოდგომისა - გაგვაოცა.
ყველა მხატვარი აქ მოსულა,
და ყველა ხატვას შესდგომია,
აღიღინებულა რა საამო
ის მთა, ეს მინდორი, ეს გორია.
დადგა შემოდგომა და შენამდე
არა მგონია, რომ გზა შორია...

ირმა ჭაბაშვილი

დაიბადა 1971 წელს. 1988 წელს დაამთავრა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. 1994 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საინჟინრო-ეკონომიური განხრით. მისი პროზა და პოეზია პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

თელავი

თელავი „იყო ურთიერთობა“
და სიყვარულის დიდი ვულკანი
აქ დაიმდუღრა საიათნოვა
წუთისოფელი ნახა უკვდავი.
თელავი იყო დიდი გმირობა
და რაინდობა , - დაბადებული.
აქ იღვრებოდა სისხლი ქართული
სამშობლოსათვის გადადებული.
თელავი იყო მეფე ერეკლე,
ჩვენი ლეგენდა პატარა კახი,
რომელმაც დღემდე შემოგვინახა
ქართველობისა წონა და ფასი.
თელავი იყო გაშლილი სუფრა
ნადიმი კვარში, რამეში, ბორცვზე,
ჯიხვის ყანწებში ჩავარდნილ მთვარის
ლიცლიცი ყოველ სადღეგრძელოზე.
თელავი „იყო ურთიერთობა“
ახვლედიანის მოსმული ფუნჯი,
კოლორიტული, ზურმუხტოვანი
ხალხი კეთილი, ცა ლურჯზე ლურჯი.

როგორ მოვნათლო ან, რანაირად,
ჭადარსა ჰკითხეთ, მან იცის კარგად.
ათასწლოვანმა მესაიდუმლემ,
დაგმანულ გულშიც შემსვლელმა კარმა.
თელავი „იყო ურთიერთობა“
არის და მუდამ ასე იქნება,
რადგანაც ღმერთმა საქართველოში
აღმოცენება მისი ინება!

უთქმელი დარდი

ცრემლი მოჟონავს თვალთაგან,
ვერ შევიკავე ვერასდღით,
ჩამომიდარდა კუნწულა
როგორც ნაღვენთი კელაპტრის.
დედის საფლავზე დაეცა
უხმოდ, უჩუმრად, წვერაღმით,
დედას წაუღო გულიდან
დარდი, რომელიც ვერა ვთქვი...

***

ქარი უსტვენს...
დეკემბერი ქრის...
მე მთები მაქვს თოვლიანი,
შენ - ზღვა შტორმით...
გაუკვალავ თოვლში გაჩნდა
ნაკვალევი მგლის...
მთებს გავყურებ ნათოვლქარალს
და ლოდინი მღლის...
ქარი უსტვენს...
დეკემბერი ქრის...

მეფე ერეკლე

მის „ავ მუსაიფს“ მტერი უფრთხოდა!
ჯაჭვის პერანგებს ხევდა უხმლოდაც,
მოგვადგებოდა მტერი უღვთო და
ლაშქარს პატარა კახი უძღვოდა.
გამარჯვებული ბრუნდებოდა
სოფელ-სოფელ ვიწრო შუკებით.
ადამიანში ის ხედავდა სიკეთის მარცვალს
და ხელის გულზე საგოგმანო მშვენიერ კახეთს
ედგა ბურჯად და ედგა დარაჯად!
თავისი ქვეყნის აღმოსავლეთ კარიბჭის მცველი
ღია თვალებში ჩასცქეროდა ცხოვრების ავ-კარგს
თავის გულის დარდს ძირძველ ჭადარს თუ მიანდობდა
და საუკუნის აბობოქრებულ ჟამს მიაპობდა.

სარჩევი

ქეთევან ათუაშვილი-ყარაულაშვილი	4
გიორგი ბერძნიშვილი	11
ეთერ გაგნიძე	17
ირაკლი დარძული	21
მარიამ დედაბრიშვილი	27
ცისანა ზარაფიშვილი - ძამუკაშვილი	32
ნელი ზუროშვილი	35
გარი ზურაბიშვილი	41
ლეილა თარალაშვილი	44
ცისანა თვალიაშვილი	49
ნოდარ იაგორაშვილი	53
მანანა კევლიშვილი	57
თამარ კოლელიშვილი	60
მარიამ კოზმანიშვილი	63
ნინო კორძაია	66
ნანა მანიჟაშვილი	68
ნანა მარღიშვილი	70
ციცინო მარკოზაშვილი	73
თინათინ მრელაშვილი	77
გიგა მჭედლიშვილი	80
ლერი ნოზაძე	83
ფარნაოზ რაინაული	87
ირაკლი რაჯეგაშვილი	92
ფატი სამხარაძე	95
ჯანეტა სამხარაძე-ჩიკვაიძე	98
თაძია სისაური	102
ზინა სოლომნიშვილი	105
კარლო ქართველიშვილი	108
ივანე ქეშიკაშვილი	111
ნუნუ ძამუკაშვილი	115
ირმა ჭაბაშვილი	119

My hobby is poetry
(In Georgian)

Periodical Literary
Miscellany No 10

TELAVI 2015